მუშაკთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

 კვირა, 23 მარტი, 1952 წ. № 71 (9231). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მტკიცედ დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
გავაძლიერეთ მეტალურგიული წარმოებისადმი ხელმძღვანელობა (მე-2 გვერდი).
ერთი ქარხნის გამოცდილებელთა წვლილი (მე-2 გვერდი).
სახელმწიფო ქონების მტაცებლები და გულუხვი ხელმძღვანელები (მე-2 გვერდი).
ფელეტონი — „ბალკანეთის ... რადი საქმე“ (მე-3 გვერდი).
სტალინური პრემიის ლაურეატები — „ფოლადოსალა“ და „ბერეზოლა“ (მე-3 გვერდი).
სტაგანოვლის მხარის საზავთრო საქმეებზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი

ტოტალიტარიზაციის სტალინურმა პოლიტიკამ თავისი ნათელი განსახიერება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში. დიდია ამ წესდების ძალა. მასში მოცემულია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების კონკრეტული გზები. წესდება სწორად ათავსებს კოლმეურნეთა პირად ინტერესებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებთან და წარმოადგენს მძლავრ არაღს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი დაუღალავად ზრუნავენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ საკოლმეურნეო წესდების ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ. ამ მზრუნველობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა და ასრულებს საკოლმეურნეო დოვლათის ზრდის საქმეში. საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების, საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობაში, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში. კოლმეურნეობები ყოველწლიურად ადიდებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, წარმატებით ასრულებენ ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. გასულ წელს მიღწეულია პირველი წარმატებები საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის განხორციელების საქმეში. შარშან მარცვლეულის საერთო მოსავალმა ერთიანად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. 1951 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება 1940 წელთან შედარებით 2,6-ჯერ გადიდდა. ყურძნის, ხილის, თამბაქოს, ზეთოვანი და სხვა კულტურების საერთო მოსავალმა მნიშვნელოვნად გადაამეტა ომამდელ დონეს. კოლმეურნეობები წარმატებით ავითარებენ მეურნეობის მრავალ დარგს, შესამჩნევად გადიდდა განუყოფელი ფონდები, რაც კოლმეურნეობათა მზარდი სიმძლავრის მაჩვენებელია.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებსა და დამახინჯებებს, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის აღმავლობას და კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას. ეს დარღვევები გამოიხატება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებით, საკოლმეურნეო თანხებისა და ქონების მითვისებით, კოლმეურნეობებისათვის უფასოდ ან დაბალ ფასად პროდუქტების გამორთმევით, აღრიცხვისა და ანგარიშგების მოუწესრიგებლობით, საკოლმეურნეო დემოკრატიის დაუცველობით. კაჯრეთის რაიონის სოფელ ზიარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ხდება საზოგადოებრივი მიწის — საკოლმეურნეო წყობილების ძლიერებისა და სიმტკიცის ამ ძირითადი წყაროს, პირუტყვის, პროდუქტებისა და ფულადი სახსრების დატაცება, ამასთან წესდებას არღვევენ შენიღბული ფორმით, მუქთად იძენენ კოლმეურნეობისაგან სხვადასხვა პროდუქტებს, საკოლმეურნეო სახსრებს ხარჯავენ კოლმეურნეთა პირადი დავალიანების დასაფარავად. ამ დამახინჯებათა შესახებ მრავალი სიგნალი შევიდა პარტიის კაჯრეთის რაიონულ კომიტეტში. სამწუხაროდ, კოლმეურნეთა სამართლიანმა შენიშვნებმა პარტიის რაიონულ კომიტეტში სათანადო გამოხმაურება ვერ ჰპოვა.

ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო შემოსავალი გაანიავეს. დებიტორთა დავალიანება 100 ათას მანეთს აღემატება. ეს მდგომარეობა ცნობილია ქობულეთის რაიასპკომის აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. მაგრამ მდგომარეობა უცვლელია.

„კომუნისტის“ 2 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრის და სხვა კოლმეურნეობებში წესდების დამახინჯების ფაქტები. პარტიის ხაშურის რაიონული კომიტეტის ბიურომ სათანადო შეფასება არ მისცა წერილში მოყვანილ ფაქტებს და იმით დაკმაყოფილდა, რომ სოფელ ტეზრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. გვარამაძეს მხოლოდ საყვედური აკმარა.

რით არის გამოწვეული საკოლმეურნეო წესდების დარღვევები?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკი შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენს წესდების დარღვევებთა და მათ მფარველთა მიმართ და სათანადო პოლიტიკურ შეფასებას არ აძლევს მომხდარ ფაქტს. ზოგ შემთხვევებში არ სრულდება მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებაში დამნაშავენი მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

წესდების დაუცველობა იმის შედეგიც არის, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მათი საკონტროლო-სარევიზიო აპარატი არასაკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო საკოლმეურნეო წესდების დარღვევას, საჭიროა: პირველი, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ თვითეული კოლმეურნეობის მთელი მუშაობის წარმართვა წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის მოთხოვნათა საფუძველზე. არ შეიძლება შევიწყნაროთ საკოლმეურნეო საზოგადოებრივი საკუთრებისადმი უსულგულო დამოკიდებულების მცირედი ფაქტიც კი, ბოლომდე უნდა აღმოვფხვრათ საკოლმეურნეო სახსრების ხელგაშლილი ხარჯვა, მკაცრად დავსაჯოთ საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებლები. მეორე, აუცილებელია უზრუნველვყოთ მიტაცებული საზოგადოებრივი მიწის, პირუტყვის, თანხებისა და ქონების დაუყოვნებლივ დაბრუნება კოლმეურნეობებისათვის. მესამე, ძირფესვიანად უნდა გავაუმჯობესოთ სარევიზიო-საკონტროლო მუშაობა კოლმეურნეობებში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უფრო მაღალ დონეზე უნდა დააყენოს სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა საინსტრუქტორო-საბუხჰალტრო აპარატის მუშაობა, განამტკიცოს იგი შემოწმებული და საქმის მცოდნე კადრებით. უნდა ავამაღლოთ სარევიზიო კომისიების როლი კოლმეურნეობათა გამგეობების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობისადმი სისტემატური კონტროლის საქმეში.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ფართოდ განუმარტონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს მათს წინაშე მდგომი მთავარი ამოცანა — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდების, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლების და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლების ამოცანა, — აღზარდონ ისინი სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას კოლმეურნეობების მუშაობაში ნაკლოვანებათა დროზე მხილებისა და გამოსწორებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ურყევად გატარება, საკოლმეურნეო საზოგადოებრივი საკუთრების თვალსაჩინოვით გაფრთხილება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის მტკიცე საფუძველია.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

ბაქო, 18 მარტი. (საკადესი). აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი.

თარგმანი რუსული გამოცემიდან შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

გავაჩაღოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

შრომითი აღმავლობა ჯყვარჩელის შახტებში

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). ტყიბულელ მეშახტეებთან შეჯიბრებაში ტყვარჩელელი მეშახტეები შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ყველა შახტამ თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა იანვრისა და თებერვლის გეგმები. მოწინავეთა რიგებშია სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი. ამ შახტის მე-6 საექსპლოატაციო უბანმა (უფროსი ნ. გუგუშვილი) თებერვლის გეგმის გადამეტებით 500 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო. უბნის სტახანოველი მეშახტეები დ. ჟორჟოლაძე, ა. კობახიძე, ს. ზარქუა და სხვები დღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ანაღდებენ.

ზეგეგმით ქვანახშირს იღებენ ახიბლარელი მეშახტეები. შახტის მარტო მეორე უბანმა თებერვლის დავალების გადამეტებით 1.250 ტონა სათბობი ამოიღო. სტახანოველები რ. ნემსაძე, დ. კინწურაშვილი, მ. ნემსაძე და სხვები დღიური, გეგმით ნავარაუდევზე მეტ ქვანახშირს ტვირთავენ კონვეიერზე.

ტყვარჩელელ მეშახტეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეტი ენერგიით იმუშაონ და ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი.

შახტის მოწინავე უბანი

ახალციხე. (საკ. კორ.). თებერვალსა და მარტში თვალსაჩინო წარმატებას აღწევს ახალციხის შახტსამმართველოს პირველი შახტის ის უბანი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ა. ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს. ამ უბნის მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. უბნის კოლექტივმა მარტში უფრო გააძლიერა მუშაობა და პირველი დეკადის დავალებას 6 პროცენტით გადაჭარბა.

ახალციხელი მეშახტეები ახლა ფართოდ აჩაღებენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ყოველდღიურად იზრდება მოწინავე მეშახტეთა რიგები. სტახანოველთა რიგებს შეემატნენ საუკეთესო მნგრეველები, გამმაგრებლები და ვაგონების გამგრძელები, რომლებიც გამომუშავების დღიურ ნორმებს 20-30 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ.

მეჭარხლეთა ახალი ვალდებულება

ბორი. (საკ. კორ.). რვაასზე მეტმა მეჭარხლე კოლმეურნემ მოიყარა თავი რაიონულ შეკრებაზე. გასული საკოლმეურნეო წლის შედეგებზე და 1952 წლის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ბორის რაიასპკომის აღმასკომის თავმჯდომარემ ამბ. ზ. თავზარაშვილმა.

შარშან კოლმეურნეობებმა მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ რაიონში 505 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღეს. სოფელ ზერტის კოლმეურნეობამ 43 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 588 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და მოსავლიანობის გეგმა 210 პროცენტით შეასრულა. ბრიგადამ, რომელსაც შ. მუნჯიშვილი ხელმძღვანელობს, თვითეულ ჰექტარზე 743 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა. ზედდულეთის კოლმეურნეობაც ჩაბარებული ჭარხლის საფასურად ერგო 2.760 ფუთი შაქარი და 1.127.601 მანეთი ფულად. [illegible]ინის ორდენსანმა ბრიგადირმა ა. ელიკაშვილმა მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 663 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა.

ფლავის კოლმეურნეობის მერგოლურმა დ. მახნიაშვილმა ილაპარაკა მეჭარხლეთა მდიდარ გამოცდილებაზე. მან თვითეულ ჰექტარზე 1.042 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. რვოლი ბრძვის იმისათვის, რომ წელს ჰექტარზე მიიღოს 1.200 ცენტნერი ჭარხალი.

თორტიზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერძნიშვილმა კოლმეურნეთა სახელით შეკრებას პირობა მისცა, რომ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 1.000 ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

მეჭარხლეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის კოლმეურნეებისადმი შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. გორელმა მეჭარხლეებმა იკისრეს 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 520 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

ვაზის მყნობა დაიწყეს

თელავი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს 341 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გააშენონ. ამ დავალების შესრულების საქმეში ნამყენი ვაზის დამზადება გადამწყვეტი პირობაა. მყნობისათვის მოსამზადებელი მუშაობა დროზე დამთავრდა, შეკეთებულია სათბურები, ნამყენის ჩასაწყობი ყუთები საკმარისზე მეტი დაამზადეს, მოიმარაგეს სათბობი ბასალა, საძირე და საკვირტე მასალით უზრუნველყოფილი არიან.

რაიონში წელს დამზადებულ უნდა იქნას რქაწითელის, საფერავის, მწვანეს, კაბერნეს, უსახელოურისა და ალექსანდროულის ვაზის ჯიშების 2.828.800 ძირი ნამყენი. აკურის, იყალთოსა და ფშავლის კოლმეურნეობები თვითეული 250.000 ცალ ნამყენ ვაზს დაამზადებს.

ვაზის მყნობა პირველმა დაიწყო ჟურდღელაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ივ. მახნიაშვილი). აქ პირველ დღეს 20.000 ძირი ვაზის ნამყენი დაამზადეს.

იზრდება ხორბლის ნათესები

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). შარშან რაიონის კოლმეურნეობებს 70 ჰექტარზე ჰქონდათ დათესილი 5 სხვადასხვა ჯიშის ხორბალი. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 8,7 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ყველაზე მეტი — ჰექტარზე 16 ცენტნერი მოსავალი მოგვცა „ხოტორას“ ჯიშის ხორბალმა. „გრძელთავთავას“ ჯიშის ხორბალი კი მიღებულია 13,7 ცენტნერი. წელს რაიონის კოლმეურნეობებში 100 ჰექტარზე დაითესება ხორბლეული კულტურები.

მოწინავე მჯს-სი

გარდაბანი. (საკ. კორ.). ზამთრის პერიოდში გარდაბნის მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი გ. დევდარიანი) ნაყოფიერი მუშაობა გასწია. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა ვადამდე შეასრულა და სარემონტო სამუშაოებზე 169 ათასი მანეთი დაზოგა.

მტს-მა მიწის სამუშაოები 104 პროცენტით გაანაღდა. გასულ წელთან შედარებით დაამუშავა 28.836 ჰექტარით მეტი ფართობი და გასწია 190 ცენტნერი საწვავის ეკონომია.

ამჟამად საგაზაფხულო სამუშაოთა შესასრულებლად საკოლმეურნეო მონდვრებზე გასულია მტს-ის 70 ტრაქტორი.

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

★

ვოლგა-დონის საირწყავი სისტემის პირველი საექსპლოატაციო სამმართველოები

დონის-როსტოვი, 19 მარტი. (საკადესი). დონის ველიან რაიონებში მთავრდება ვოლგა-დონის პირველი რიგის საირწყავი სისტემის მშენებლობა. წყლის მიწოდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე განხორციელდება 2.900 კილომეტრი სიგრძის განმანაწილებელი არხებით. ამავე ქსელში მთავრდება სამი ათასი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა. უკანასკნელი სამუშაოები წარმოებს ქვემო დონისა და აზოვის მაგისტრალურ არხებზეც. მშენებლები ეწევიან ფერდობების მოპირკეთებას, ამონტაჟებენ სატუმბავ სადგურებსა და ელექტროქვესადგურს.

ამ რთული საირწყავი სისტემის მართვისათვის შექმნილია ორი საექსპლოატაციო ცენტრი: საირწყავი სისტემის აზოვის სამმართველო, რომელშიც შედის აზოვის არხი მის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ქსელით და ქვემო დონის სამმართველო. საექსპლოატაციო სამმართველოები ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში შეინახავენ არხებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს და წყალსარგებლობის გეგმებისა და გრაფიკების შესაბამისად მიაწვდიან წყალს საირწყავ ქსელს, დაეხმარებიან მხვნელმთესველებს საირწყავი მიწათმოქმედების ათვისებაში, განახორციელებენ კონტროლს საირწყავი წყლის სწორად გამოყენებისადმი და სხვ.

უკვე დანიშნული არიან სამმართველოთა ხელმძღვანელები, მიმდინარეობს საინჟინერო-ტექნიკური და სახაზო აპარატის დაკომპლექტება. სპეციალურ კურსებზე სწავლას ამთავრებენ არხებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ექსპლოატაციის მუშაკები.



ვოლგადონმშენი. მარინოვკის სამშენებლო რაიონში შენდება მძლავრი ხატუმბავი სადგური. უკვე დამთავრებულია 850-მეტრიანი მილსადენის მონტაჟი. ეს სადგური წყალს გადატუმბავს კარპოვკის წყალსაცავიდან სანაოსნო არხში, ხოლო აქედან ბერესლავკის წყალსაცავში. სურათზე: მზა მილსადენისა და ხატუმბავი სადგურის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო ს. კრობოვნიცკისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ნაპირების მოპირკეთება წყალქვეშ

სტალინგრადი, 19 მარტი. (საკადესი). ვოლგა-დონის კრასნოარმეიცკის სამშენებლო რაიონის მყვინთავთა ჯგუფი ეწევა წყალქვეშა ნაპირების მოკირწყვლას არხის შესასვლელთან ვოლგის მხრიდან.

ნაპირების გაყოლებით ყინულზე მოჩანს ყინულჭრილები. მათკენ გაყვანილია ხის ფიცარნაგები, რომლებითაც ეზიდებიან და წყალში ყრიან ქვიშას, გრანიტის ნამსხვრევებს, ხრეშსა და ქვას. მყვინთავები ფსკერზე გეგმავენ ამ მასალებს. საუკეთესო მყვინთავად გამოიჩინა თავი ბორის ვასილიევმა. გაუწყვეტლივ წყალქვეშ ყოფნის დროთან ოთხ საათამდე აიყვანა.

იყენებენ წყალქვეშ ნაპირების გამაგრების სხვა ხერხსაც. ყინულზე აწყობენ მაგარი მავთულისა და კონად შეგრეხილი რკინის დიდ ბადეს. უჯრედებს კონების კედლებს შორის ავსებენ ქვით. ამის შემდეგ ყრიან ყინულს, და მთელი მასიური მოპირკეთება ეშვება გრუნტზე.

ვახია-ვაშის მშენებლობებზე

ტახია-ტაში, 21 მარტი. (საკადესი). ჰიდროკვანძის მშენებლები შეჯიბრებას აჩაღებენ წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

დამხმარე ნაგებობათა რაიონის კოლექტივმა 15 მარტს შეასრულა პირველი კვარტალის პროგრამა. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ავტობაზის, ელექტროსარემონტო და ხისდამშუშავებელი ქარხნების, სასაწყობო შენობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე.

ვადამდე შეასრულეს კვარტალური პროგრამა სამონტაჟო უბანმა და ყაზანჯიკის სამშენებლო რაიონმა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

უნგრეთის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება

გუდაპეშტი, 21 მარტი. (საკადესი). სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით ქვანახშირის ამოღებამ უნგრეთში უნდა მიაღწიოს 27,5 მილიონ ტონას წელიწადში, ესე იგი ერთისამად გადააჭარბოს ომამდელ დონეს.

წლითიწლობით ფართოვდება ძველი შახტები, ხორციელდება მათი მექანიზაცია და შენდება ახალი შახტები. მაგალითად, უნგრეთის განთავისუფლებამდე ხიდშის (ბარანის კომიტატი) ქვანახშირის შახტში სულ რამდენიმე კაცი მუშაობდა. ქვანახშირს ხელით იღებდნენ. ამჟამად ამ შახტში უკვე რამდენიმე ასეული კვალიფიციური მეშახტე იყენებს შრომის საბჭოთა მეთოდებს. ქვანახშირის ამოღების სამუშაოთა 80 პროცენტს ასრულებენ საბჭოთა მეშახტეებისაგან გადმოღებული ციკლური გრაფიკით. შახტი ბარაღდება უნგრელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი „აიტაი-სილარდის“ ტიპის ახალი საყელური მანქანებით. წარმოებს ქვანახშირის მიწისქვეშა გადაზიდვის სრული მექანიზაცია.

გასული წლის დამლევს ვადამდე ჩაბარდა მწყობრში ციწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომლითაც ქვანახშირს შახტიდან ეზიდებიან რკინიგზის სადგურში. დეკემბერში ამუშავდა ქვანახშირის ახალი გამოუხებელი ფაბრიკა. წარმოებს სასინჯი ბურღვა ქვანახშირის ახალი ბუდობების საძიებლად. იქმნება ახალი სანგრევები. წელს ქვანახშირს ამოიღებენ 3,5 კილომეტრი სიგრძის შტოლნში.

ამჟამად მექანიზაციისა და შრომის საბჭოთა მოწინავე მეთოდების გამოყენების მეოთხებით შახტის კოლექტივი რვაჯერ მეტ ქვანახშირს იძლევა, ვიდრე 1951 წლის აგვისტოში. მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის აღსანიშნავად კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ყოველდღიურად ამოიღოს გეგმის გადაჭარბებით 23 ვაგონი ქვანახშირი.

კეთილმოწყობილი ხდება ბულგარეთის ქალაქი სტალინი

სოფია, 21 მარტი. (საკადესი). იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი სტალინი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე აქ შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები — გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა და სხვ. სწრაფად იზრდება სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, რასაც ქალაქის საწარმოები უშვებენ.

ქალაქში წარმოებს ფართო საბინაო მშენებლობა. შარშან აშენდა 50-ზე მეტი საზოგადოებრივი შენობა, მათ შორის სკოლები, კულტურის სახლები, კინოთეატრები და სხვ.

გემთმშენებელი მუშებისათვის 1951 წელს აშენდა ათი საცხოვრებელი სახლი. უახლოეს დროში დამთავრდება ფეიქართა ორი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ წელს საბინაო მშენებლობისათვის გაიღო ათობით მილიონ ლევი.

ამ უკანასკნელ წლებში ქალაქ სტალინში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამკურნალო დაწესებულებების, საბავშვო სახლებისა და ბაგების ქსელი.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის ახალი ამოცანები

პეკინი. (საკადესი). გაზეთმა „ჟენმინიბაომ“ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციულმა საბჭომ მიიღო 1952 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანების შესრულებას.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის სოფლის მეურნეობამ უკვე მოიპოვა გარკვეული წარმატებანი. 1951 წელს მარცვლეულის კულტურების წარმოებამ თითქმის მიაღწია ომამდელ უმაღლეს დონეს; ბამბის წარმოების მხრივ ომამდელი წლების საუკეთესო მაჩვენებლები გადამეტებულია 33 პროცენტით. მთლიანად და გადამეტებით შესრულებულია ტექნიკური კულტურების წარმოებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

გადაწყვეტილებაში ამოცანად დასახულია მარცვლეულის წარმოების 8 პროცენტით და ბამბის წარმოების 20 პროცენტით გადიდება 1952 წელს.

ბულგარეთის ელექტროფიკაცია

სოფია. (საკადესი). ბულგარეთის ელექტროფიკაცია ბულგარეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს ბულგარეთის ქალაქებისა და სოფლების ელექტროფიკაციის ტემპის შემდგომ გაძლიერებას, აგრეთვე ელექტრომრეწველობის გაფართოებას.

გასულ წელთან შედარებით 1952 წელს ელექტროენერგიის წარმოება ბულგარეთში გადიდდება 38,5 პროცენტით, ხოლო ომამდელ პერიოდთან შედარებით — 4,5-ჯერ.

1952 წელს მწყობრში ჩადგება ახალი მძლავრი ელექტროსადგურები, მათ შორის „ვასილ კოლაროვი“, „ბელი ისკრი“, „ასენიცა — 2“, „კლისურა“, „რადომირი“. გადიდდება აგრეთვე უდიდესი ენერგეტიკული ბაზების — „რეპუბლიკის“, „დიმიტროვის“ და სხვა ელექტროსადგურების სიმძლავრე.

1952 წელს ელექტროფიცირებულ იქნება ასობით ახალი ქალაქი და სოფელი. განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია მოსალოდნელი ამ მიმართულებით პირანის მხარესა და დობრუჯაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ მეგალურგიული წარმოებისადმი ხელმძღვანელობა

შედგა რუსთაველის IV საქალაქო პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

— წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და სოციალისტური შეჯიბრების ახალი მეთოდებისა და ფორმების ფართოდ გავრცელებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მუდმივი მზრუნველობის შედეგად, — თქვა მომხსენებელმა, — ჩვენი ქალაქის ბევრმა საწარმომ დავალებანი ღირსეულად შეასრულა.

მეტალურგიული ქარხნის სამსხმელო, სარემონტო-მექანიკურ, სამჭედლო-საქვაბე, ხის დამამუშავებელ და სხვა საამქროთა კოლექტივებმა გასული წლის საწარმოო გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. ქარხნის ძირითადი საამქროები — მარტენისა და ბლუმინგის, აგრეთვე თბოელექტროცენტრალი გასული წლის პირველ სამ კვარტალში საგრძნობლად ჩამორჩნენ, რამაც გამოიწვია მთელი ქარხნის მიერ წლიური გეგმის შეუსრულებლობა. ამასთან იყო საწვავის, თუჯისა და ფულადი სახსრების გადახარჯვა.

გასული წლის სექტემბერში საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა მეტალურგიული ქარხნის მოქმედ საამქროთა 8 თვის მუშაობის შედეგები. გამოვლინდა საამქროთა ჩამორჩენის მიზეზები, დაისახა მათი გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი. ქარხნის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი დაირაზმა ჩამორჩენილ საამქროთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ შარშან IV კვარტალში ქარხნის ძირითადმა საამქროებმა თვიური საწარმოო დავალებანი კარგი მაჩვენებლებით შეასრულეს. კიდევ უფრო ამაღლდა შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წელს. იანვარსა და თებერვალში საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა ქარხნის ყველა საამქრომ. გამრავლდა ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატთა რიცხვი.

— სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ძირეულად გარდაქმნა მუშაობა. მარტენის საამქროში ჯერ კიდევ არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. არ იგრძნობა ცვლის უფროსებისა და ოსტატების ხელმძღვანელი როლი, სათანადო კონტროლი არ ეწევა საწარმოო დავალებათა ზუსტად შესრულებას, წარმოებაში სუსტად ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები.

მომხსენებელი შეეხო ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობას. ილაპარაკა ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე. მაგრამ ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციების წარმატებათა მიუხედავად, მთლიანად ტრესტმა ვერ უზრუნველყო 1951 წლის გეგმის შესრულება.

მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები ცუდად მარაგდებიან საშენი მასალებით, სუსტად იბრძვიან სამშენებლო პროცესების სრული მექანიზაციისათვის, მშენებლობის ღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური და შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე. აღნიშნა, რომ გასულ წელს ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს პარტიის რიგების ზრდისათვის. 1951 წელს პარტიის რიგებში მიღებულ იქნა გაცილებით მეტი, ვიდრე განვლილ 5 წელიწადში ერთად. ამასთან მომხსენებელმა გააკრიტიკა საქვაჭრობის რუსთაველის განყოფილების, „კავსანტეხმონტაჟის“, რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის, სამოქალაქო საბინაო მშენებლობისა და სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან და უპარტიო აქტივთან.

მიმდინარე სასწავლო წელს შესამჩნევად გაფართოვდა პარტიული განათლების ქსელი. სწავლებაც უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმაში ჩაბმულია 1.880 კაცი; 756 კაცი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ წიგნზე დამოუკიდებლად მომტშავე კომუნისტებს. საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სათანადო კონტროლს არ უწევს მათ მუშაობას, რის შედეგად კომუნისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამორჩება ინდივიდუალური გეგმის შესრულებაში.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხზე. მკაცრად გააკრიტიკა ქალაქის მილიცია და პროკურატურა, რომელიც ხშირად აჭიანურებს სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა საქმეების გამოძიებას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა.

მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. ანთელიძემ ილაპარაკა საამქროს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე, გააკრიტიკა ქარხნის ადმინისტრაცია იმის გამო, რომ იგი ნაკლებად ზრუნავს მარტენის საამქროს დამხმარე მოწყობილობით მომარაგებისათვის. ამხ. ანთელიძემ მოითხოვა საბინაო მშენებლობის დაჩქარება, რათა ახლო ხანში საამქროს ყველა მუშას ჰქონდეს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის უფროსმა ნ. გიორგაძემ გააკრიტიკა ცალკეული სამშენებლო სამართველოებისა და სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც სუსტად იბრძვიან გეგმის შესრულებისათვის, არ იღებენ ზომებს საშენ მასალათა განაგების წინააღმდეგ, მათი მომჭირნეობით ხარჯვისათვის, აჭიანურებენ ცალკეული სამშენებლო ობიექტების მშენებლობას და უშვებენ წუნდებულ პროდუქციას. თვით ტრესტის ხელმძღვანელთა მუშაობის ნაკლოვანებებზე კი ნ. გიორგაძეს რატომღაც არაფერი უთქვამს.

არათვითკრიტიკული იყო რუსთაველის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ეფრემოვის გამოსვლა. მან კონფერენციის დელეგატთა ყურადღება მიქცია ფაქტზე, რომ ქალაქის კეთილმოწყობის საკითხზე. აღნიშნა, რომ კეთილმოწყობის მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან ქალაქის განაპირა უბნები. ამ საქმეში მან ბრალი დასდო მეტალურგმშენის ტრესტის ხელმძღვანელობას, ხოლო არაფერი თქვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაზე, მაშინ, როცა აღმასკომს ბევრი ნაკლოვანება აქვს.

ხის დამამუშავებელი კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ხარხნელიძემ მკაცრად გააკრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტი იმის გამო, რომ 3 წლის განმავლობაში იგი არ დაინტერესებულა საფუძვლიანად შეესწავლა კომბინატის ჩამორჩენის მიზეზები.

საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი გ. ფანქელაშვილი დაკმაყოფილდა მოწინავე და ჩამორჩენილი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მხოლოდ ჩამოთვლით და სიტყვაც არ უთქვამს საქალაქო კომიტეტის მიერ პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი დახმარებასა და ხელმძღვანელობაზე.

კონფერენციამ მიიღო ღონისძიებანი და აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და თბილისის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. გიგოშვილმა და ამხ. გ. ჯავახიშვილმა.

* * *

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. გეგეშიძე, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ჩალაძე, მდივნად — ამხ. ი. ვიშნიაკოვი.

თბილისი. ორთაჭალიპესის მშენებლობაზე მიმდინარეობს წყალგადასაშვების მოპირკეთება. მოსაპირკეთებლად საჭირო გრანიტის ქვის გათლაზე წარმატებით მუშაობს კალატოზი ალექსი კობახიძე, რომელიც დავალებას სიხტემატურად 200 პროცენტით ასრულებს. ს უ რ ა თ ი ს: ა. კობახიძე მუშაობის დროს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ერთი ქარხნის გამომგონებელთა წვლილი

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დღითიდღე ფართოვდება რაციონალიზატორული მოძრაობა. ქარხნის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია სათანადო პრაქტიკულ დახმარებას უწევენ რაციონალიზატორებს.

რაციონალიზატორთა ღონისძიებანი ამ უკანასკნელ ხანს მიმართულია დანადგარების საპროექტო სიმძლავრის გადიდების, წარმოების გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებისა და ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. ქარხანაში გასულ წელს 276 რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა, აქედან წარმოებაში დანერგილია 192 წინადადება, რამაც საწარმოს 3.100 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

წელს კიდევ უფრო მატულობს რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი. რაციონალიზატორული მოძრაობის ზრდას ხელს უწყობს ქარხანაში განხორციელებული მთელი რიგი მასობრივ-ორგანიზაციული ღონისძიებანი, ეწყობა რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების ერთთვიური.

ქარხნის დირექტორის ზ. ფირიაშვილის, საწარმოო განყოფილების უფროსის ნ. პეტრენკოს, მ. ალენიკოვას, ქ. მახარაძისა და გ. ბარტენიევის მიერ განხორციელებულმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ საწარმოს ორი მილიონი მანეთის ეკონომია მისცა. საინტერესოა აგრეთვე ქარხნის მოწინავე რაციონალიზატორების ვ. ჭირიას, ვ. ჩიქოვანის, ხ. სარჯველაძის და გ. შაპიროს კოლექტიური წინადადება ბიტუმის ჩქაროსნული ხარშვის ახალი მეთოდის შესახებ. გასულ წელს ქარხნის მეოთხე საამქრო მთლიანად გადავიდა ბიტუმის ჩქაროსნული ხარშვის აღნიშნულ მეთოდზე.

მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენეს აგრეთვე გამოცდილმა მენავთეებმა ბ. იანკილევიჩმა, კ. მეფაროშვილმა, ა. შკუროპატმა, ფ. გაზალოვმა, ა. კოლესნიკოვმა და სხვებმა.

დ. პაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შეხვედრა სამგორელ და ბულაჩაურელ მშენებლებთან

კარგ ინიციატივას იჩენს ჩვენი რესპუბლიკის დიდი მშენებლობების პოპულარიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალური კულტურის სახლი. ბისმა ხელმძღვანელებმა ტრადიციად შემოიღეს მშენებელთა კოლექტივების მოწინავე წარმომადგენლებთან მასობრივი შეხვედრების მოწყობა. ასეთი შეხვედრები უკვე მოეწყო ორთაჭალიპესის მშენებლებთან, ბულაჩაურელებთან და სამგორელებთან.

მორიგი შეხვედრა სამგორელი და ბულაჩაურელი მშენებლებისა თბილისის მშრომელებთან მოეწყო 16 მარტს. შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მშენებელთა მოწინავე წარმომადგენლები — ინჟინერ-ტექნიკოსები, მებეტონეები, დურგალთა ბრიგადირები, მექანიზატორები, მშენებლობის სხვადასხვა სპეციალობათა ოსტატები. დამხვდურთა სახელით მშენებლებს მიესალმა კულტურის სახლის დირექტორი ი. გოზალიშვილი, რომელმაც გახსნა შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება.

სამგორელ მშენებელთა მიღწევებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ კრებას მოუთხრო სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ა. ყიფშიძემ, ბულაჩაურელთა მუშაობისა და ამოცანების შესახებ —ბულაჩაურმშენის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. რთველაძემ. თავიანთ გამოცდილებაზე ილაპარაკეს სამგორელმა ინჟინერმა მ. სანაძემ, ბულაჩაურელმა გვირაბმშენებელმა დ. გურგენაშვილმა და სხვებმა. მშენებლებს სიტყვებით მიმართეს დამსახურებულმა მასწავლებელმა ნინო რიდნოვამ, სტუდენტმა გ. რობაქიძემ და მშრომელი ინტელიგენციის სახელით ნ. ლომიძემ.

სახელმწიფო ქონების მფლობელები და ბურუსიანი ხელმძღვანელები

დიდი და პასუხსაგები ამოცანა აქვს დაკისრებული საქართველოს დასახლების მშენებლობის ტრესტის სამგორის სამშენებლო კანტორის კოლექტივს. ივრის წყლით გაცოცხლებულ და განახლებულ სამგორის მიწაზე—სართიჭალის ველზე დასასახლებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული კოლმეურნეებისათვის მან უნდა ააგოს იაფი, მკვიდრი, ლამაზი და საცხოვრებლად მოხერხებული სახლები. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ სამგორის სამშენებლო კანტორა ამ საპატიო ამოცანას ცუდად ასრულებს.

შარშან სართიჭალაში ახალი ბინების მშენებლობაზე სახელმწიფო გეგმის მიხედვით უნდა აეთვისებინათ 13 მილიონი მანეთი და ამ თანხით 500 საკოლმეურნეო სახლი აეგოთ. სახელმწიფო თანხების ხარჯვაში აქ გასულ წელს დიდი „მოქნილობა“ გამოიჩინეს და 9 მილიონზე მეტი მანეთი „აითვისეს“. ხოლო რაც შეეხება ახალი ბინების აგებას, ამ მხრივ საქმე ცუდად წავიდა—საკოლმეურნეო სახლების დიდი ნაწილი დაუმთავრებელი დარჩა.

სართიჭალის სამშენებლო კანტორის ახლანდელი მმართველი ი. გოგუაძე განშარტავს, რომ 1952 წლის 1 იანვრისათვის 500 სახლიდან მთლიანად დამთავრებული იყო 60, 80-90 პროცენტით დამთავრებულია 20 სახლის მშენებლობა, 50-80 პროცენტით — 20, 50 პროცენტით—400 სახლისა.

სამშენებლო სამუშაოები ბევრ შემთხვევაში არაკეთილსინდისიერად არის შესრულებული. ზოგიერთი სახლში დამსკდარია კედლები, ჩამონგრეულია ბეერი, გადახდილია სახურავი, დაუმთავრებელია სამშენებლო სამუშაოები. ზოგან უვარგისი კარებია ჩამოკიდებული, ხოლო საკვამლე მილებში კვამლი არ გადის.

ყველა ეს უმსგავსობა იმით არის გამოწვეული, რომ სამგორის სამშენებლო კანტორის მუშაობა სეზონურობა ნაკლოვანებებით ხასიათდება, ამ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ კი არც საქართველოს დასახლების მშენებლობის ტრესტი და არც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველო ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ.

მშენებლობა საშენი მასალების, განსაკუთრებით კირისა და გაჯის ნაკლებობას განიცდის. სამგორის სამშენებლო კანტორის მმართველმა ამხ. ი. გოგუაძემ გადაწყვიტა გამოეყენებინა ადგილობრივი რესურსები და ამ მიზნით სართიჭალაში მოაწყო გაჯის წარმოება. მაგრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა დასახლების სამმართველომ აკრძალა(!) ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენება და სამაგიეროდ მშენებლობისათვის საჭირო კირისა და გაჯის მოწოდებაზე სათანადო ხელშეკრულებები დადო სარეწაო კოოპერაციის არტელებთან. ამ ღონისძიებამ საქმეს არ უშველა.

ძალიან ცუდად მუშაობს სართიჭალის სამშენებლო კანტორის მომარაგების განყოფილება (უფროსი დ. გოგორიშვილი). ორ თვეზე მეტია, რაც სადგურ ვაზიანსა და ირონში დიდძალი საშენი მასალებია მოსული, მაგრამ მომარაგების განყოფილების მუშაკები მათ გადმოზიდვას დღემდე აჭიანურებენ — გზის გაშრობას ელოდებიან. ამასობაში კი რკინიგზის სადგურებზე დაყრილი საშენი მასალები და სათბობი თანდათან „შრება“ და ქრება. ამავე დროს მომარაგების განყოფილების დაუდევარი მუშაობის შედეგად სართიჭალის სამშენებლო კანტორამ ვაგონების მოცდენისათვის შარშან რკინიგზას 27.800 მანეთი გადაუხადა ჯარიმის სახით.

ძირითადად სამშენებლო სამუშაოთა გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ აქ დღემდე დაუსჯელად თარეშობენ სოციალისტური საკუთრების მიმთვისებლები და მტაცებლები. გაქნილ კომბინატორთა და წამგლეჯთა ჯგუფი ისე აფათურებს ხელს სახელმწიფო ქონებაში, როგორც საკუთარ ჯიბეში.

ამ უმსგავსოებათა და დანაშაულებრივი საქმიანობის წყაროა სამგორის სამშენებლო კანტორის ბუხჰალტერია (უფროსი ბუხჰალტერი დ. პატარაია). უწესრიგოდ არის შენახული ბუხჰალტერიის დოკუმენტები, შემორიალურ წიგნებში ამოხეული და დაკარგულია ფურცლები. ათასობით მანეთი გაცემულია უწყისებით, რომლებზეც არ არის კანტორის მმართველის განკარგულება. ასევე დიდი სახელმწიფო თანხებია გაცემული ფიქტიური განრიგებით ისეთ პირებზე, რომელთა მისამართები უცნობია და რომელთაც სართიჭალაში არათუ არ უმუშავნიათ, არამედ არც კი გაუვლიათ.

მშენებლობაზე სამუშაოდ მოსულ მუშათა მიღება არ ხდება სათანადო ბრძანების გაფორმებითა და შრომითი ხელშეკრულების დადებით. სწორედ ამით სარგებლობენ მშენებლობის არაკეთილსინდისიერი მუშაკები და ფიქტიური უწყისების შედგენით ათასობით მანეთს ითვისებენ. მაგალითად, მეორე სამშენებლო უბნის უფროსმა პ. შეხგელიამ გასული წლის სექტემბერში მუშებისათვის დასარიგებლად მიიღო 29.900 მანეთი. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ბუხჰალტერიას უკან დაუბრუნა ხელმოწერილი უწყისი და გატანილი თანხაც ჩამოაწერეს. სინამდვილეში კი აღნიშნულ უწყისში შეტანილი ბევრი ეკარი მოგონილია.

ასეთივე უმსგავსოებანია მესამე სამშენებლო უბანზე. აქ კადრის მუშებიც კი, როგორიც არიან მ. ანდრიანოვი, ე. ხარიტონენკო, ქ. ჯიქიძე, ა. მუსაევი და სხვები, გატარებული არ არიან საუბნო ბრძანების წიგნში. ქ. თამბაზაშვილი 1951 წლის ივლისიდან მუშაობს მეოთხე სამშენებლო უბნის სასადილოში, მაგრამ აქამდე მისი სამუშაოზე მიღება ბრძანებით არ გაუფორმებიათ და მისთვის არც ხელფასი მიუციათ.

მშენებლობაზე არსებული უწესრიგობით კარგად ისარგებლა მოლარე შ. ღუღუნიშვილმა. იგი მუშების ნაცვლად თვითონ აწერდა ხელს უწყისებზე და ამ გზით ათასობით მანეთს ითვისებდა. მტვირთავი მუშები ა. რაფანიანი და ე. პეტროსიანი აცხადებენ, რომ შ. ღუღუნიშვილმა მათ ნაცვლად მოაწერა ხელი უწყისზე და 500 მანეთი მითვისა. 1951 წლის 12 დეკემბრის უწყისით მოლარემ 8.764 მანეთი გასცა. ფულის მიმღებთა ხელმოწერის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ბევრი ხელმოწერა ყალბია. მოკლე ხანში შ. ღუღუნიშვილმა ასეთი კომბინაციით 130.000 მანეთის მითვისება მოასწრო.

უკონტროლობამ და თაეაშვებულობამ, სახელმწიფოებრივი დისციპლინისადმი დანაშაულებრივმა დამოკიდებულებამ ის გამოიწვია, რომ უბნის უფროსებმა ხელი მიჰყვეს შტატების თვითნებურად გადიდებას. მაგალითად, მეორე სამშენებლო უბნის უფროსმა პ. შეხგელიამ უკანონოდ შექმნა სამეთა მმართველის ანუ, როგორც იგი ეძახის, მდივნის შტატი და ამ თანამდებობაზე დანიშნა ვ. კაპინსკაია. მაგრამ მარტო შტატი ხომ არ კმარა, საჭიროა ხელფასიც. მოხერხებულმა უბნის უფროსმა ესეც მოაგვარა: ვ. კაპინსკაიას იგი ყოველთვიურად უწერდა განრიგით 500-დან 600 მანეთამდე.

დიდი დარღვევები და ნაკლოვანებებია სამგორის სამშენებლო კანტორის საავტომობილო პარკის მუშაობაშიც. ავტომძღოლთა საგზურებში გადიდებულად არის ნაჩვენები ავტომანქანის მიერ გარბენილი კილომეტრები. ეს იწვევს სახელმწიფო თანხების ზედმეტად გაცემას და საწვავის გადახარჯვას. საავტომობილო პარკის ბუხჰალტერმა ქ. პეტრავენკომ ავტომძღოლ ვ. გზირიშვილს უწყისზე თვითონ მოაწერა ხელი და ამ გზით 655 მანეთი მითვისა. როცა ვ. გზირიშვილმა ეს გაიგო და დავა ატეხა, ქ. პეტრავენკომ მას 200 მანეთი დაუბრუნა. 455 მანეთი კი დღესაც არ მიუცია.

განსაკუთრებით დიდია უმსგავსოებანი მესამე სამშენებლო უბანზე (უფროსი ა. გოგელია). აქაც ათასობით მანეთია გაცემული ფიქტიური უწყისებითა და ყალბი განრიგებით. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში ა. გოგელიამ 9 კაცს ცალკე განრიგით გამოუწერა 18.340 მანეთი. ამათგან მხოლოდ 2 მუშა არის ბრძანებით მიღებული სამუშაოზე, დანარჩენთა ვინაობა და მისამართები უცნობია.

ა. გოგელია ფიქტიური უწყისებით სახელმწიფო თანხების მითვისებას არ დასჯერდა და საკუთარი სახლის აგების მიზნით საშენი მასალების მტაცებლობას მიჰყო ხელი. შარშან თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე ორ სხვა პირთან ერთად სამსართულიანი სახლის შენებას შეუდგა და ერთი წლის განმავლობაში თითქმის დაამთავრა. ან კი რატომ არ დაამთავრებდა, როცა საშენ მასალებსა და მუშახელზე შორს წასვლა არ სჭირდებოდა. მშენებლობა „ჩქაროსნული მეთოდით“ მოაწყო: ერთსა და იმავე დროს სართიჭალიდან ავტომანქანებით ხე-ტყის მასალასაც ეზიდებოდა, ღორღს, გაჯსა და კირსაც. მასთან მომუშავე დურგლებს კი კარებისა და ფანჯრის ჩარჩოების დაკვეთა მისცა. ეს დავალებაც მალე შესრულდა. დურგლებმა თვითონვე გადაუტანეს კარები და ფანჯრის ჩარჩოები, შეასრულეს ხის სამუშაოები. ხელფასი? ამას რაღა კითხვა უნდა. ა. გოგელიამ ბევრი არ იფიქრა და საკუთარი სახლის მშენებლობაზე მომუშავე ქ. ჯიქიძის დურგალთა ბრიგადას სახელმწიფო ხარჯზე გადიდებული განრიგები გამოუწერა. მარტო იანვარში ქ. ჯიქიძის ბრიგადას მიღებული აქვს 7.400 მანეთი, აქედან თვით ქ. ჯიქიძეს წილად ხვდა 2.714 მანეთი.

შემოწმებით გამორკვეულია, რომ ა. გოგელიას სახლის მშენებლობაზე, რომლის სარდაფის გაყიდვა მან უკვე მოასწრო, დახარჯულია 200-მდე კუბმეტრი ხე-ტყის მასალა. ამდენი სამენი მასალის შოვნას მართლაც დიდი მოხერხება უნდა. ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით იგი ხან სამმართველოს უფროსს, ხან ტრესტისა და კანტორის მმართველს თავს აპრალებდა და, სარგებლობდა რა ხელმძღვანელთა ხელგაშლილობით, 2-4 კუბმეტრ ხე-ტყის მასალას ხშირად იღებდა „სესხად“ თუ „საჩუქრად“.

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ა. გოგელიას ერთ-ერთი „გულისამაჩუყებელი“ განცხადება კანტორის ყოფილ მმართველს ს. სვანიძის სახელზე. აი ეს განცხადება, რომელიც დათარიღებულია 1951 წლის 3 მაისით:

„განვიცდი სრულ უბინობას. მაქვს დაუმთავრებელი სახლი, რომ დავამთავრო ნაწილობრივად მესაჭიროება 2 კუბმეტრი მასალა. არ მაქვს საშუალება ხსენებული მასალის შესყიდვისა, რადგანაც იგი ძლიერ ძვირია. ამისათვის გთხოვთ მომცეთ ხელფასის ანგარიშში ან უკიდურეს შემთხვევაში სესხად“.

ამ განცხადებას ამშვენებს ს. სვანიძის შემდეგი რეზოლუცია: „ამხ. გოგელიას. წაიღეთ თქვენი პირადი საჭიროებისათვის 2 კუბმეტრი დახერხილი ხის მასალა...“.

მმართველიც ასეთი უნდა — სთხოვეს და გასცა!

ნებართვის მიღების შემდეგ ა. გოგელიას მიერ წაღებული 2 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა შინ მიტანისას 3-ჯერ და 4-ჯერ მეტი აღმოჩნდა! ეს „დაკლიტლება“ მან ჯერ კიდევ სამგორწყალმშენის სამმართველოში მუშაობისას შეიძინა, საიდანაც არაკეთილსინდისიერი საქმიანობისათვის კიწოსკერით გამოაძევეს.

— თუ უბნის უფროსები სარგებლობენ, მე რატომ არ უნდა ვისარგებლო, — გაიფიქრა სამგორის სამშენებლო კანტორის მომარაგების განყოფილების უფროსმა დ. გოგორიშვილმა და თბილისში, ლელაშვილის ქუჩაზე, სადაც ამ სამი წლის წინათ ორსართულიანი სახლი აიშენა, ახლა მეორე სახლის აგება დაიწყო.

ვერ ვიტყვით დ. გოგორიშვილი დიდი უნარის მქონე კაცი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ სამგორის სამშენებლო კანტორაში იგი ადგილკომის თავმჯდომარედაც ითვლება. თუმცა მისი არჩევის შესახებ აქ არავითარი დოკუმენტი არ მოიპოვება. საკვირველი არ არის, რომ ადგილკომის ასეთი თავმჯდომარის წყალობით საესებით ჩაშლილია მასობრივი მუშაობა. მშენებლობაზე მომუშავე ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი ნაწილი პროფკავშირის წევრი არ არის. აღსანიშნავია, რომ თვით ადგილკომის თავმჯდომარეს დ. გოგორიშვილს არც კავშირის საწევრო წიგნაკი და არც საღრიცხვო ბარათი არ აღმოაჩნდა.

სართიჭალის მშენებლობაზე დღემდე არ არის შექმნილი პარტიული ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ აქ 14 კომუნისტი მუშაობს. ამას გარდა 7-8 კომუნისტი ჯერ კიდევ არ არის აყვანილი აღრიცხვაზე. პარტიის საგორეკომს რაიკომს რომ სათანადო ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა მშენებლობისადმი, შეძლებდა სართიჭალაში მტკიცე პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც ულმობელ ბრძოლას გაიჩაღებდა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ. მაგრამ რაიკომმა ეს ვერ გააკეთა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველო (მმართველი ამხ. ბ. ყურაშვილი) რამდენიმე სამშენებლო კანტორას აერთიანებს. არის სიგნალები, რომ ის, რაც სართიჭალაში ხდება, სხვა სამშენებლო კანტორებსაც ახასიათებს. რატომ იჩენენ სამმართველოს ხელმძღვანელები სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა მიმართ ასეთ წაყრუებას? ძნელი დასაჯერებელია მათ არაფერი იცოდნენ ზემოთჩამოთვლილ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

სოციალისტური საკუთრების მტაცებელნი და მათი ხელისშემწყობნი სოციალისტური კანონიერების მთელი სასტიკით უნდა დაისაჯონ.

ვ. შავგულიძე
ვ. ხეჩუაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პლენუმი

წალენჯიხა. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა რაიკომის პირველი მდივანი მ. კვარაცხელია მოხსნა თანამდებობიდან და გარიცხა რაიკომის შემადგენლობიდან. სამუშაოდან მოიხსნენ და რაიკომის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნენ მეორე მდივანი ვ. ბელქანია და მდივანი ა. ჭანტურია.

საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. კვარაცხელია, მეორე მდივნად — ამხ. გ. შონია, ხოლო მდივნად — ამხ. შ. ხარებავა.

აგიტაციორთა კურსები

ცაგერი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა ცაგერისა და ჩხუტელის საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან მოაწყო აგიტატორთა გადასამზადებელი სამთვიანი კურსები. კურსებზე მეცადინეობს 30 აგიტატორი. მეცადინეობა ეწყობა კვირაში ერთხელ.

მსმენელებმა უკვე მოისმინეს ლექციები თემებზე: „კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერება და კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდი“, „სოციალისტური საკუთრება წარმოებაში და ხელშეუხებელია“, „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ“, „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ.

აგიტატორები შეისწავლიან მსოფლიო ფილიტიკურ რუკას, მოისმენენ მოხსენებებს სააგიტატორო მუშაობის მეთოდიკის საკითხებზე, მოეწყობა მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ზრაქჭორების რემონტი ჭიანურდება“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 5 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა სტალინირის მტს-ში არსებულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ამ დღეებში პარტიის რაიკომმა განიხილა ეს საკითხი და მტს-ის დირექციას დაავალა დაამყაროს წესრიგი მისაბმელი იარაღმანქანების მოვლისა და შენახვის საქმეში, უახლოეს ხანში გამოასწოროს არსებული ნაკლოვანებანი.

რაიკომის ბიურომ მტს-ის დირექტორის მოადგილეს პოლიტიკურ ნაწილში ამხ. კ. კულუმბეგოვს და პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ა. ჭამპურიძეს დაავალა ფართოდ გაშალონ მტს-ის მუშაკებში სოციალისტური შეჯიბრება, სისტემატურად მოაწყონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება და სხვ.

რაიკომის ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი მტს-ში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

გამოუქვეყნებელი წერილების

კვაღდაკვაღ

კომბინატორი მიცემულია პასუხისგებაში

რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის აბრეშუმის პუნქტის გამგე ა. გაბუნია ბოროტმოქმედებას სჩადის.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტი გვატყობინებს, მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ა. გაბუნია მიცემულია პასუხისგებაში.

ფელეტონი

შაღვა ჭიჭინაძის „პირადი საქმე“

„გვარი—ჭიჭინაძე, სახელი—შაღვა, მამის სახელი — ისმაილი“ — ასე იწყება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბოლნისის რაიონის ყოფილი ინსპექტორის ანკეტა, რომელიც საიმედოდ არის ჩაკერებული „პირად საქმეში“. ყურადღებას იპყრობს აქ „პირადი საქმის“ ყდაზე ლურჯი ფანქრით მიწერილი თარიღი—1948 წელი, ირიბად გასმული ორი ხაზი და რამდენიმე კითხვის ნიშანი.

გადავფურცლოთ შ. ი. ჭიჭინაძის „პირადი საქმე“. აი დამადების მოწმობა, ცნობები განათლებისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, საკუთარი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია, რომელიც გვაუწყებს, რომ შ. ჭიჭინაძეს 1932 წელს ცოლად შეურთავს დარია ბაგრატის ასული მიქელიანცი და შესძენია სამი შვილი—ლამარა, ალექსენტი და კარლო.

შემდეგ... კვლავ ლურჯი ფანქრით მიწერილი თარიღი — 1948 წელი, ლურჯი ხაზები და კითხვის ნიშნები.

ვინ დაუსვა „პირად საქმეს“ ეს თარიღი და კითხვის ნიშნები, არ ვიცით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ 1948 წელი შ. ი. ჭიჭინაძის ცხოვრებაში განსაკუთრებული იყო.

პირველი, იმიტომ, რომ სწორედ 1948 წელს შ. ჭიჭინაძემ საბოლოოდ შეაქცია ზურგი მეუღლეს, დატოვა სამი შვილი და ოჯახიდან წავიდა.

მეორე, იმიტომ, რომ 1948 წელს შ. ჭიჭინაძე განსაკუთრებით გაიტაცა ახალმა სიყვარულმა, რაც მმაჩის დოკუმენტებში რეგისტრირებულ იქნა, როგორც ჩვენი „გმირის“ მესამე ქორწინება.

მესამე, იმიტომ, რომ 1948 წელს შვილებმა წერილობით შეახსენეს შ. ჭიჭინაძეს, რომ მამა მოვალეა იზრუნოს შვილებისათვის, რაც შემდეგში ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ სამსჯავრო სხდომაზე ეს სათანადოდ გააფორმა (აღმასრულებელი ფურცელი № 2/586).

და, ბოლოს, იმიტომ, რომ 1948 წელს შ. ჭიჭინაძემ, შვილებისათვის სარჩო რომ მოესპო, ხელში აიღო კალამი და დაწერა განცხადება „მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო“. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ შეუსრულეს.

„პირადი საქმე“ აგრეთვე გვამცნობს, რომ 1948 წლიდან შ. ჭიჭინაძემ, აღმასრულებელი ფურცლის შიშით, მრავალი თანამდებობა გამოიცვალა, ხოლო 1951 წლიდან მთლად გაქრა ბოლნისის რაიონიდან.

დავხუროთ „პირადი საქმე“, ნუ მივაქცევთ ყურადღებას შ. ჭიჭინაძის მიერ დაწერილ ავტობიოგრაფიას, სულ ერთია იქ ყველაფერი არ წერია. არ წერია, მაგალითად, რომ შ. ჭიჭინაძეს დღესაც არ იცის, სად არის დამარხული მისი პირველი მეუღლე, საავადმყოფოში რომ გარდაიცვალა. ავტობიოგრაფიაში არ წერია, რომ შ. ჭიჭინაძე ავადმყოფ მეუღლეს არ აკითხავდა საავადმყოფოში, ხოლო როგორც კი გაიგო, გარდაიცვალაო, იმ დღიდან მიიმალა. მეორე აღმაშფოთებელი ფაქტიც იციან საავადმყოფოში შ. ჭიჭინაძის ცხოვრებიდან. მან საკუთარი დედის საავადმყოფოდან გამოყვანაზეც უარი განაცხადა და უგზოუკვალოდ გადაიკარგა.

შ. ჭიჭინაძის პირად საქმეში ჩაკერებულია ბევრი ცნობა, გაცემული „გულჩვილი“ დირექტორების მიერ. ამ ცნობებში ვკითხულობთ: „განთავისუფლდეს თანახმად თავისი განცხადებისა“..., „განთავისუფლდეს ოჯახური მდგომარეობის გამო“..., „განთავისუფლდეს, რადგან ვერ აიტანა სოფლის ჰავა“... და სხვ. სინამდვილეში შ. ჭიჭინაძეს სამსახურიდან განთავისუფლებასთვის მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს — როგორმე თავიდან აიცდინოს შვილებზე ზრუნვა, არ გადაიხადოს ალიმენტი.

უკანასკნელად შ. ჭიჭინაძის „გამოგონებამ“ ყველაფერს გადააჭარბა. არც აცივა, არც აცხელა, მიადგა საქვაჭრობის რუსთაველის განყოფილებას და ითხოვა რევიზორ-ბუხჰალტრის თანამდებობა.

— ისე, შტატგარეშე რევიზორ-ბუხჰალტრად მიმიღეთ, — განუცხადა ჭიჭინაძემ საქვაჭრობის რუსთაველის განყოფილების ხელმძღვანელებს.

ეს თხოვნაც შეუსრულეს. აღმასრულებელი ფურცელი № 2/486 კი დადის ბოლნისსა და რუსთავს შორის. აღმასრულებელ ფურცელთან ერთად მგზავრობს პროკურატურასა და სასამართლოს სახელზე გაცემული ცნობები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ „მოქალაქე შ. ი. ჭიჭინაძე არსად არ მუშაობს“.

არ არის სწორი! შ. ჭიჭინაძე მუშაობს, ხელფასიც საკმაოდ აქვს. შვილები კი უპატრონოთ ჰყავს მიტოვებული. რამდენიმე თვეა საშუალო ვაჟი ალექსენტი სკოლაში არ წასულა, ლამარა კი მძიმე ავადმყოფია.

ფიქრობს ამაზე „მშობელი“ შ. ჭიჭინაძე?

ჩვენს ეპოქაში, როცა სიტყვა საბჭოთა ადამიანი, გაისმის, როგორც სინდისის, პატიოსნების, ნათელი გონებისა და გრძნობის სიმბოლო, სამწუხაროა, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან შ. ჭიჭინაძის მსგავსი უზნეო ადამიანები ცხოვრების მუწუკები, რომლებიც დღეს შექმნიან ოჯახს, ხვალ დაანგრევენ; ქამელეონივით იცვლებიან: დღეს ერთს ეგუებიან, ხვალ—მეორეს, ზეგ — მესამეს...

დავამთავროთ შ. ჭიჭინაძის ბიოგრაფია. დავხუროთ მისი „პირადი საქმე“. სამაგიეროდ ბოლნისის რაიონის პროკურატურამ უნდა გახსნას ახალი საქმე, რომელშიც დირექტორ-საქმოსნების ყალბი ცნობები, დახასიათებები და ბრძანებები კი არ იქნება ჩაკერებული, არამედ მასალები შ. ი. ჭიჭინაძის ბოროტმოქმედებისა და მის ხელშემწყობთა შესახებ.

ბ. ეკალაძე

ჩვენ გვწერენ

რკინიგზის სადგური კეთილმოწყობას საჭიროებს

რკინიგზის მახარაძის სადგური, მისი სასაწყობო მეურნეობა და ტვირთების დასაცლელი მოედანი, რომელიც ჯერ კიდევ 1930-1931 წლებში აგებს, სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. მაგალითად, აქ იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ქვანახშირი, საშენი ქვა, ხე-ტყე და მიეერალური სასუქები ერთიმეორეშია არეული. ამასთან თვითეული მათგანი სხვადასხვა ორგანიზაციას ეკუთვნის. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ტვირთების დასაცლელი მოედნის უხეში ექსპლოატაციის შედეგად წარმოქმნილი ორმოები წვიმიან ამინდში წყლით ივსება, წყალი დგება რკინიგზის ლიანდაგებშიც. ასეთ შემთხვევაში ტვირთების გატანა, რომლებიც წყალში ყრია და ზიანდება, შეუძლებელია.

ამ გარემოებას ისიც ემატება, რომ სადგურის საექსპლოატაციო მოედანი ყოველთვის გადატვირთული და გაუხათებელია. აღნიშნული მიზეზების გამო ფერხდება მგზავრთა კულტურული მომსახურება. ეს კარგად იციან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში და გზის სამტრედიის განყოფილებაში, რომლის მომსახურებაში მახარაძის რკინიგზის სადგური შედის, მაგრამ დღემდე თავს არავინ იწუხებს.

მდგომარეობას საგრძნობლად გამოასწორებდა ჩიხი, რომლის მშენებლობა ამ ერთი წლის წინათ დაიწყო „ბეუჟეჰესის“ სამშენებლო სამმართველომ, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მისი მშენებლობა შეაჩერეს.

საჭიროა მახარაძის რკინიგზის სადგურის კეთილმოწყობაზე იზრუნონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და გზის სამტრედიის განყოფილებამ.

ვ. ჯაფელი

საშენი მასალები ცის ქვეშ ყრია და ფუჭდება

აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მომსახურების მიზნით გასული წლის მაისში ცეკავშირის „საქტყემშენვაჭრობამ“ აბაშაში გახსნა ხე-ტყის მასალის სავაჭრო საწყობი.

მაგრამ სამწუხაროდ გარდა სადარაჯო ჭოხისა, აქ არავითარი ნაგებობა არ არის, ხოლო 100 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ხე-ტყე ცის ქვეშ ყრია და ფუჭდება. უფრო მეტიც. საწყობის ტერიტორია, სადაც ხე-ტყე აწყვია, სანახევროდ შემოუღობავია, რის გამო მოსალოდნელია ხე-ტყის გაწიავება. ეს ფაქტი კარგად იციან ცეკავშირის „საქტყემშენვაჭრობაში“ (დირექტორი ამხ. ა. ლაღიძე), მაგრამ ზომებს არ იღებენ ხე-ტყის სავაჭრო საწყობის ტერიტორიაზე ფარდულებისა და კანტორის ასაგებად.

ცეკავშირის „საქტყემშენვაჭრობის“ ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს აბაშაში ხე-ტყის სავაჭრო საწყობის კეთილმოწყობისათვის.

ივ. გუხაიძე

სტავროპოლის მხარის საზამთრო საძოვრებზე

გასული წლის სექტემბერში მთათუშეთის სახელმწიფო იალაღებიდან ახმეტის რაიონის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარები დაიძრნენ ახალი მიმართულებით. ასი ათას სულზე მეტი ცხვარი პირველად გაეგმართა სტავროპოლის მხარისა და ასტრახანის ოლქის საზამთრო საძოვრებისაკენ.

ცხვრის შესახვედრად საზამთრო საძოვრებზე გაცხოველებული მზადება იყო: კოლმეურნეობათა სამშენებლო ბრიგადები სწრაფი ტემპით აწარმოებდნენ ცხვრისა და მწყემსების ახალი ბინების მშენებლობას.

რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა მშენებლებს, საძოვრებზე სიცხის ბუღი იდგა, ცოტა იყო წყალი, ას კილომეტრზე მეტ მანძილზე უხდებოდათ სამშენებლო მასალის ზიდვა. მაგრამ მშენებლებმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანებს და მოკლე ხანში შეძლეს 57 კაპიტალური ბინის (70.000 სული ცხვრისათვის), 34 ღია ფარეხის, მწყემსებისათვის 100-ზე მეტი კაპიტალური, ნათელი, სუფთა და თბილი საცხოვრებელი ბინის, დამხმარე ნაგებობათა ახლად აშენება.

საზამთრო საძოვრები სავსებით მომზადებული დახვდა ცხვარს და მეცხვარეებს.

1950 წელთან შედარებით ოთხჯერ მეტი თივა დავამზადეთ და მივზიდეთ ცხვრის ბინებთან. საკმაო რაოდენობით შემოვზიდეთ აგრეთვე კონცენტრირებული საკვები.

ზამთრისათვის ყველაზე უკეთ მოეამზადნენ სოფელ ზემო ალვანის ბერიას სახელობის (ფერმის გამგე გიორგი იდიძე), ქვემო ალვანის ლენინის სახელობის (ფერმის გამგე ვლადიმერ ბექურიძე) მილიონერი კოლმეურნეობები, ოქიოს, შენაქოს, ღუისის ვოროშილოვის, მაღრაანის მალენკოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

ცხვრის გამოზამთრება ნორმალურად მიმდინარეობს.

მრავალათასიან ცხვრის ფარებს სიყვარულით და გულმოდგინედ უვლის 500-ზე მეტი მწყემსი. მწყემსებს კარგ საცხოვრებელ ბინებთან ერთად აქვთ თბილი ტანსაცმელი და პროდუქტები.

საძოვრების ცენტრში გახსნილია ცეკავშირის სავაჭრო მაღაზია, დიდ ფერმასთან აშენებულია პურის საცხობები; ზემო და ქვემო ალვანის კოლმეურნეობათა ცენტრალურ ბინებში დადგმულია რადიომიმღებები.

მწყემსებს სამედიცინო მომსახურებას მორიგეობით უწევენ რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ექიმები გიორგი ლაგაზიძე და გიორგი აშაძე, ფერშალი ფირუზ ხუგაშვილი.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას მეცხვარეები თავდადებული შრომით უპასუხებენ. გამოცდილი ბრიგადირები და მწყემსები რეზო ცაძიკიძე, რეზო იდიძე, ვახტანგ თელიძე, ბესარიონ ანთაიძე, ხარიტონ რაინაული, ლუარსაბ მურთაზაშვილი, იასონ შეთიძე, ესტატე აბაიძე, ფილიპე კოკლოშვილი, მელიტონ ქოჩიშკილი და მრავალი სხვა თვალისჩინივით უვლიან ცხვარს. თავდადებული შრომით მათ შეძლეს მინიმუმამდე დაეყვანათ პირუტყვის სიკვდილიანობა.

დოლი მასობრივად არის გაჩაღებული. კოლმეურნეობები კარგად მზადებულნენ დოლისათვის. დადოლებული ცხვრისათვის გამოყოფილი და დაცულია კარგი ხარისხის საძოვრები. დოლის კამპანიის მომსახურებისათვის ადგილზე იმყოფება კოლმეურნეობების 20 ავტომანქანა.

მომთაბარე ვეტერინარული პუნქტ-ს (გამგე ექიმი ამხ. ჭანკოტაძე) პერსონალი, რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებისა და კოლმეურნეობათა სპეციალისტები გ. შაშიაშვილი, გ. ადიძე, ა. მოსიაშვილი, დ. იტოშვილი და სხვები უზრუნველყოფენ ცხვრის ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ მომსახურებას.

ამ დღეებში მოეწყო საზამთრო საძოვრებზე მყოფ კოლმეურნეობების ფერმის გამგეთა და ზოოვეტსპეციალისტთა თათბირი. დასახულ იქნა ლონისძიებანი დოლის ნორმალურ პირობებში ჩატარებისათვის, ფერმებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ახმეტელი მეცხოველეები წელს 60.000-ზე მეტ სულ ნამატს მოელიან. არსებული მდგომარეობა იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნამატი მთლიანად შენარჩუნებულ იქნება.

ზემო ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირმა აბრამ ითიურიძემ განაცხადა:

—22 წელია, რაც მეცხვარე ვარ. შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ნამატის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის გეგმები. პირადად ჩემმა ბრიგადამ ნამატი 110 პროცენტით შეინარჩუნა. 677 დედაცხვარზე ასხლტამდე 745 ბატკანი შევინარჩუნე, რითაც როგორც მთლიანად ფერმამ, ისე მეც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ. წელს უფრო მეტ ნამატს შევინარჩუნებთ.

გვაქვს ნაკლიც: ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მოუგვარებელია ჟურნალ-გაზეთებისა და წერილების მიწოდების საქმე, გვაკლია მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. მწყემსები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათ საშუალება არა აქვთ ზამთრის პერიოდში კინოსურათები ნახონ.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ძნელი არ არის. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ მისი გამოსწორებისათვის.

ახმეტის რაიონის მეცხოველეები პირობას იძლევიან, რომ საუკეთესოდ გაიმაზამთრებენ ცხვარს, წარმატებით ჩაატარებენ დოლს, მთლიანად შეინარჩუნებენ ნამატს, გაზრდიან პროდუქტიულობას.

ირ. ხაჩიძე

ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე

მზადება ნიკო ლომოურის იუბილესთვის

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის ცნობილი ქართველი მკვლევარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დამადების 100 წლისთავის აღსანიშნავად შექმნა საიუბილეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან: დ. სულიაშვილი (თავმჯდომარე) მარიამ-ალექსიძე, დ. ბენაშვილი, მარიამ ბაგრატიონ-ელიზავეტა, ი. გრიშაშვილი, გ. თავზიშვილი, ს. კლდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ი. ნინოშვილი, ერ. ქარელიშვილი, დ. შერგელია და ო. ჩხეიძე.

30 მარტს ნიკო ლომოურის მშობლიურ სოფელ არბაზში სახლს, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ნიკო ლომოური, გაუკეთდება მემორიალური დაფა.

საიუბილეო ღონეებთან დაკავშირებით საქართველოს სკოლებში მოეწყობა ნიკო ლომოურის ხსოვნის აღსანიშნავი დილა-საღამოები, კულტურის სახლებსა და ბიბლიოთეკებში — ნიკო ლომოურის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები და გამოფენები.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი და კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა მოიწყობენ გამოფენებს ნიკო ლომოურის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

საიუბილეო ღონეებში გამოვა ნიკო ლომოურის ნაწარმოებთა სრული კრებული.

სანდრო შანშიაშვილის რჩეულ ნაწარმოებთა ზომი უკრაინულ ენაზე

უკრაინის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა სტალინური პრემიის ლაურეატის სანდრო შანშიაშვილის ნაწარმოებთა კრებული — „რჩეული“. წიგნში მოთავსებულია მწერლის ოცდათვრამეტი ლექსი, პოემა „დედა“, აგრეთვე დიდოდრო ბობირის მიერ თარგმნილი დრამა „ირსენა“.

წიგნი იხსნება ლექსით „იოსებ სტალინს“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატს პოეტ-აკადემიკოს მაქსიმ რილსკის; ლექსი „ლენინი ჯაჯვშოსთან“ თარგმნილია სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ-აკადემიკოს მიკოლა ბაჟანის მიერ.

ს. შანშიაშვილის წიგნის წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი, ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი, „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ ცნობილი მთარგმნელი მიკოლა ბაჟანი წერს: საბჭოთა უკრაინის მკითხველებს ღრმად აინტერესებთ ქართული ლიტერატურა. ქართველი და უკრაინელი ხალხები მჭიდროდ არიან დაკავშირებული დიდი სტალინური მეგობრობით. მათ კიდევ უფრო აკავშირებს ღრმა სიყვარული და მადლობის გრძნობა დიდი რუსი ხალხისადმი, რომლის ძმურმა დახმარებამ უზრუნველყო საქართველოსა და უკრაინის ხალხთა ბედნიერი ცხოვრება, ხოლო მისი მაღალი კულტურის გავლენამ მომე ხალხთა კულტურის გაფურჩქვნა.

„კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა სიდიადე, რაც დაგვისახა დიდი სტალინის გენიამ, აღაფრთოვანებს პოეტს“, — წერს ვ. ბაჟანი ს. შანშიაშვილის შემოქმედებითი გზის შესახებ.

შემდეგ წინასიტყვაობის ავტორი მოგვითხრობს უკრაინელ და ქართველ ხალხთა ისტორიულ მეგობრობაზე, დიდ ქართველ პოეტ დავით გურამიშვილზე, რომელსაც საბჭოთა უკრაინის მთავრობამ მირგოროდში ძეგლი აუგო, ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შესანიშნავი მეგობრობის შესახებ, შევჩენკოს მეგობრის ნაროკას შესახებ, რომელიც გადასახლებული ოთხი კაკასიაში, სადაც თარგმნილია ვენიალური ოთხი რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, ლესია უკრაინკას შესახებ, რომელმაც საქართველოში ყოფნის დროს შექმნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოებანი.

სანდრო შანშიაშვილის ლექსები თარგმნილია უკრაინელი პოეტების: მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის, ი. ფირვანის, ნ. დორიოშკოს, ი. ფრანკოს, ე. დრობიაზკოს და სხვების მიერ.

წიგნი გამოსულია 10 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით.

გ. ნაზარენკო

სტალინური პრემიის ლაურეატები

„ფორთოხალა“ და „ბერშოუღა“

მთელი საბჭოთა ლიტერატურის სახელოვან გამარჯვებათა შორის, იმ ღირსშესანიშნავ მხატვრულ ქმნილებათა შორის, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი, გიორგი ლეონიძის ლირიკულ პოემებს „ფორთოხალასა“ და „ბერშოულას“ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ეს ნაწარმოებები მიმდინარე წელს აღინიშნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — სტალინური პრემიით.

გიორგი ლეონიძის ხსენებული ორი პოემა, ისევე როგორც მისი სახელგანთქმული ეპოპეა სტალინის ბავშვობასა და ყრმობაზე, საბჭოთა პოეტური ეპოსის თვისობრივად ახალ მოვლენებს წარმოადგენენ. ისინი შინაგანად შეიცავენ ახალი საბჭოთა პოეზიის ყველა მთავარ და არსებით თვისებას, მათში ნათლად ვხედავთ ლიტერატურის ხალხურობის პრინციპის ბრწყინვალე გამარჯვებას. ეს ნაწარმოებები თვალსაჩინო როლს ასრულებენ ახალი ადამიანების სულიერი ფორმირების პროცესში.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მწერალს ავალებს, რომ მისი შემოქმედება ხელს უწყობდეს საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის უფრო განმტკიცებას, ზრდიდეს საბჭოთა ადამიანებს მაღალიდეურ, პრინციპულ, მხნე, თავიანთ საქმეში დარწმუნებულ, სოციალისტური სამშობლოსათვის, ბოლშევიკური პარტიისათვის თავდადებულ ადამიანებად. მწერალმა სიმართლით უნდა დახატოს საბჭოთა ადამიანები, გამოსახოს ჩვენი ხალხის სულიერი სამყარო, მისი გაბედულება დასახული ამოცანებისათვის ბრძოლაში. მწერალმა უნდა გამოსახოს ჩვენი ხალხის ნათელი გონება, უდრეკი ხასიათი, სიმამაცე, გამძლეობა, მოსაზრებულობა, უნდა გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანის უნარი—დაუმორჩილოს პირადი ინტერესები საზოგადოებრივს, მისი მზადყოფნა—თავი გასწიროს სამშობლოსათვის. საბჭოთა ლიტერატურის მთავარი შემოქმედებითი ამოცანაა ასახოს და ადიდოს საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობა. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ამ ძირითად მოთხოვნილებათა შესანიშნავ მხატვრულ განსახიერებას წარმოადგენს გიორგი ლეონიძის ორი ზემოხსენებული პოემა.

სწორედ ხალხურობის დიადი პრინციპი აძლევს გიორგი ლეონიძის ლექსს ძლავრ ოპტიმისტურ ჟღერას, ღრმა შემოქმედებითს პათოსს. „მხოლოდ, ხალხია უკვდავი, ყველაფერი დანარჩენი წარმავალია“, — ბრძენი ბელადის ეს სიტყვები გვიჩვენებენ, თუ რა უნდა იყოს მწერალის მთავარი თემა. მოწინავე საბჭოთა პოეტებმა და მათ შორის გიორგი ლეონიძემაც სწორედ ამ გზით წარმართეს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა. ეს ნათლად ჩანს ზემოხსენებული ორი პოემის მაგალითით. როგორც „ფორთოხალას“, ისე „ბერშოულას“ სტრიქონებში ისმის ხალხის დიდი ცხოვრების მაჯისცემა, აქ ნაგრძნობი და მხატვრულად გადმოცემულია ჩვენი მამაცი და შემოქმედი ხალხის დაუცხრომელი წინსვლელობა, სულიერი კეთილშობილება, აზრისა და გრძნობის სისავსე, მისი უკვდავება და ძლევამოსილება. ნაწარმოებთა მოქმედი გმირები — ქართველი გლეხის ქალი პოემა „ფორთოხალაში“ და მოხუცი გლეხკაცი „ბერშოულაში“ — ამავე დროს ფართოდ განზოგადებული, რეალისტური, მეტყველი ეპიკური სახეებია, რომლებიც ცოცხლად და გამოკვეთილად ხატავენ მთელ ხალხს, მის უკვდავებას, მის სულიერ ბუმბერაზობას. იმის გამო, რომ პოეტი ფხიზლად უგდებს ყურს ხალხის მაჯისცემას, მან შეძლო ზუსტად და სიმართლით აღებეჭდა და გამოეხატა ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანების განცდები, განწყობილება, აზრები და მისწრაფებები.

„ფორთოხალას“ შესავალ სტროფებში ავტორს შორეულ წარსულში გადავყავართ, რათა გვიჩვენოს ხალხის, კერძოდ უბრალო ქართველი ქალის, ქართველი დედის გაუხარელი ცხოვრება, გვიჩვენოს მისი მუდმივი ოცნება თავისუფლებაზე, გამუდმებული ბრძოლა ადამიანურ უფლებათა მოსაპოვებლად. პოემის ბოლო სტროფებში კი ნაჩვენებია თავისუფლების მზის ამობრწყინება, როცა ისტორიის ნამდვილმა შემოქმედმა—ხალხმა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მეთაურობით დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა.

გიორგი ლეონიძის „ფორთოხალა“ მაღალიდეური ნაწარმოებია იმის გამოც, რომ პოეტმა მოგვცა ისტორიის ჭეშმარიტად სწორი გაგება. დახატა რა წარსულის სურათები, მან გვიჩვენა, რომ საქართველოს ისტორია მარტო მეფეების ისტორია როდი იყო, როგორც ეს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს წარმოედგინათ. არა, ისტორიის შენობას უბრალო გლეხკაცის მარჯვენა აგებდა და ჩვენი წინაპარი სწორედ „გუთნის ლუკმით ნაშენი“, „ქალმებიანი საქართველო“ იყო, რომელიც ებრძოდა შემოსეულ მტრებს, ქმნიდა კულტურის ძეგლებს, და რომელიც მწარედ გმინავდა ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების უღელქვეშ. ლეონიძის „ფორთოხალა“ სრული უფლებით შედის სოციალისტური პოეზიის საგანძურში იმიტომ, რომ პოეტმა სწორი, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი მოიმარჯვა წარსულის მოვლენების ასახვისათვის. პოემა, რომელშიც სიუჟეტი იწყება შორეული საუკუნეების ამბებით, მკითხველის ყურადღების ცენტრში აყენებს არა მეფეთა პორტრეტებს, არა ფეოდალებს, როგორც წინათ დეკადენტები და ნაციონალისტურად განწყობილი მწერლები სჩადიოდნენ, არამედ გლეხის ქალს, უბრალო მშრომელ დედაკაცს. „ფორთოხალას“ მთელი დედაარზრი მკაფიოდ გამოთქმულია პოეტის შემდეგ სიტყვებში:

„ათასი წლის მანძილიდან,
შვილურ ალერსს გაგიბერავ,
საქართველოს დიდ ცხოვრებას,
შენს ჰქმნიდი, ტკბილო დედავ!
დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს,
შენი კაბის კალთა ზრდიდა,
ვინც ეტრატზე წერდა ქართულს,
ვინც ჩუქურთმას ქვაზე სჭრიდა.
შენი ოფლის ნაღვარალი
დღევანდლამდე არ აშშრალა,
ყველგან გნახე, დამივლია
მე სამშობლოს გზა და შარა,
მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“
ვერა ვნახე შენი სახე,
არაფერი არ სწერია
შენს ღვაწლზე და შენს შესახებ.
დედოფლებზე ბევრი წერეს,
ბევრს კალამიც დაეღალა,
ვიცით ბევრი დედოფალი,
არ კი ვიცით ფორთოხალა“.

აქ პოეტი უსაყვედურებს არა მარტო ძველ მატიანეს, რომელმაც მარტო მეფეებისა და დედოფლების სახელები შემოგვინახა, არამედ უსაყვედურებს იმ მწერლებსაც, რომლებმაც „დედოფლებზე ბევრი წერეს“, ხალხის ღვაწლი კი დაივიწყეს. სოციალისტური ეპოქის პოეტი, სტალინური ეპოქის მესიტყვე აქ უპირისპირდება ძველ დეკადენტურ ლიტერატურას, რომლის წარმომადგენლებს ავიწყდებოდათ, რომ ისტორიის მთავარი გმირები იყვნენ არა მეფენი და დედოფალნი, არამედ ხალხი. ამავე ნაწარმოებში პოეტი გვიხატავს ხალხის საშინელ განსაცდელს და ათასნაირ ტანჯვა-წამებას მთელი ბნელი საუკუნეების მანძილზე. ეს კონკრეტულად არის ნაჩვენები გლეხის ქალის ფორთოხალას ცხოვრების მაგალითით. როგორც პოეტი მოგვითხრობს, ფორთოხალა ცხოვრობდა კოლხიდაში, „შოთას უწინ“, მებადურის ქალიშვილი იყო და ბნელ ფაცხაში იზრდებოდა, სიღატაკე აწამებდა მის ოჯახს. ამ დუხჭირ ცხოვრებაში წამოიზარდა ახალგაზრდა გლეხის ქალი, შემდეგ შვილების დავაჟკაცებასაც მოესწრო. შესანიშნავი პლასტიკური სახეებით გადმოგვცემს რა უბრალო ადამიანის ამ სადა, მაგრამ იმავე დროს ამაღელვებელ ბიოგრაფიას, პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს გლეხის ქალის დაუცხრომელ შრომისმოყვარეობას და აქვე გვიჩვენებს, რომ იმ შორეულ წარსულში ხალხის შრომის ნაყოფი სხვას მიჰქონდა. პოეტი მიმართავს ფორთოხალას:

„უმზეო და უვარსკვლავო,
ცხოვრება გაქვს ბნელზე ბნელი;
ჭაობი სჭამს შენს მოსავალს
და ბატონი — ბელზებელი.
ასე იცის ბედშაობამ,
მწარე დღეებს მიაწყვილებს;
მწარ ტანჯვაში დაიბარჯა
შენი ტურფა სიყმაწვილე“.

ფორთოხალას სახე ერთ-ერთ ადგილზე მოგვეცემა, ოღონდ ეს ერთ-ერთ ადგილი ფორთოხალას ცხოვრებაზე ბევრ ფერად ანარეკლს ფენს.

საერთაშორისო თემაზე

1. შეშლილთა წერილები

ძნელია თქმა, თუ რამდენი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე იმეორებს „ძამაო ჩვენოსავით“ გაზეპირებულ ციტატებს ჰიტლერის ყბადაღებული „ჩემი ბრძოლიდან“. ერთი რამ უდავოა: ბევრი მათგანი, რომელთაც, როგორც წესი, არ გააჩნიათ საკუთარი აზრი, ამერიკელი პოლიტიკანებისათვის ჩვეული უნიჭობითა და თავხედობით ცდილობს მიისაკუთროს ის, რაც უკვე უთქვამთ კაცთმოძულე ჰიტლერს, გებელსს, გერინგს... ეს უკანასკნელნი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, აუცილებლად აგებინებდნენ პასუხს პლაგიატისათვის მრავალ ამერიკელ პოლიტიკოსს...

ომითა და განადგურებით იმუქრებოდა ჰიტლერი: „მე მსურს ომი და ყველა საშუალება კარგია ჩემთვის... ომი ეს მე ვარ“...

ომითა და განადგურებით იმუქრებიან ამერიკელი კონგრესმენები: „ახლოვდება დრო, როცა განრისხებული ამერიკა ატომური ბომბებით წალეკავს რუსეთს. არა ერთი ბომბი იქნება ჩამოგდებული. ეს იქნება წარღვნა“, — ამბობს დეპუტატი ჯონ უოლში. „ჩვენ გვაქვს 450, და შეიძლება მეტიც, ატომური ბომბი. ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ რუსეთის ყოველ დიდ სამრეწველო ქალაქზე ჩამოვაგდოთ 50 ბომბი“, — გაიძახის სენატორი სტენისი. „შეერთებული შტატები არ იომებენ მსოფლიოს შორეულ კუთხეებში და გადაატანენ ომს კომუნისტური რუსეთის გულში“ — აცხადებს სენატორი ჯონსტონი. „თუ საჭირო იქნება, მე დაუყოვნებლივ გამოვიყენებ ატომურ ბომბს“, — ტონს აძლევს მათ პრეზიდენტი ტრუმენი...

ასეთივე სიტყვებით გამოდიან სხვა დეპუტატები ძტინგებზე, რადიოში. მსგავს „წერილებს“ ბეჭდავენ ისინი გაზეთის ფურცლებზე. ასეთია მათი გონებრივი შრომის პროდუქცია! იგი ძალიან ჰგავს ბოდვასა და შეშლილის წერილებს...

ბუნებრივია, ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული სიტყვები აღვივებს ომის ფსიქოზს. ამას წინათ ნიუიორკში საპაერო განგაში გამოცხადდა. რადიო იუწყებოდა „ატომური ბომბებით დატვირთული რეაქტიული თვითმფრინავების მოახლოებას“. 10 წუთის განმავლობაში ქალაქმა ყოველგვარი საქმიანობა შეწყვიტა. მობილიზებული იყო 12 ათასი პოლიციელი და 11 ათასი მეხანძრე. ქალაქის მცხოვრებლებს ძალით ერეკებოდნენ თავშესაფრებში...

ომის ამერიკელი გამჩაღებლები აშკარად ახორციელებენ გამალებული შეიარაღებისა და ომის მზადების პოლიტიკას. ისინი არც მალავენ თავიანთ მზადებას ომისათვის, მხოლოდ ცდილობენ საომარი მზადება „საბჭოთა იმპერიალიზმისა“ და „საბჭოთა კავშირის მხრივ მოსალოდნელი აგრესიის არსებობით“ გაამართლონ... დასავლეთის ცივილიზაცია საფრთხეშია და ჩვენ მხოლოდ თავდაცვისათვის ვემზადებითო—ტიფრად აცხადებენ ტრუმენი, აჩესონი და მათი თანამეგზურენი. აკი შეშლილიც (გოგოლის „შეშლილის წერილებიდან“) მოითხოვდა: „ბატონებო, ვიხსნათ მთვარე, რადგანაც მიწას სურს შეაჯდეს მას“...

გოგოლის უკვდავი ნაწარმოების გმირის სულიერი მეგობრები ჯერ კიდევ ცოცხლობენ და განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმიანობას ამერიკაში... მსგავს საქმიანობას ეწეოდნენ ოდესღაც ჰიტლერი, გებელსი, გერინგი და მათი დამქაშები...

2. აჩესონი თავს იჯყუებს

ამერიკელი იმპერიალისტები „ატლანტიკურ წესრიგს“ ამყარებენ: საბერძნეთი მორწყულია მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა სისხლით. „ჩვენ ვიცით,—გმირულად განაცხადეს დახვრეტის წინ მამაცმა ბერძენმა დემოკრატებმა,—რომ ახლოვდება აღსასრული. მაგრამ ვსარგებლობთ რა ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელი წუთებით, გესურს შევასრულოთ ფიცი, რომელიც დახვრეტილ ამხანაგებს მივეცით. ვიკრავთ უკანასკნელ ძალებს და ვიმაღლებთ ხმას — მკვდრებისა და ცოცხლების ხმას: მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა!“ იტალიაში აპატიმრებენ ნამდვილ პატრიოტებს, თავისუფალი და ბედნიერი იტალიისათვის მებრძოლებს. იტალიელმა ნეოფაშისტებმა თავდასხმა მოაწყეს იტალიელ მშრომელთა საყვარელ ბელადზე — პალმირო ტოლიატიზე. ბელგიაში ლეოპოლდისტებმა მოკლეს კომუნისტური პარტიის ბელადი ჟულიენ ლაო, ყუმბარები ესროლეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობას. სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებს აიკრძალეს კომუნისტურ პარტიაში და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშაობა. საფრანგეთში სდევნიან მშვიდობის მომხრეებს. დაპატიმრებულია მამაცი მეზღვაური ანრი მარტენი, რომელმაც საქვეყნოდ დაგმო ფრანგი კოლონიზატორების დანაშაულებრივი ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. საფრანგეთის პრეზიდენტი ორიოლი ლაუბობს „კულტურის, სამართლიანობისა და თავისუფლების“ დიდ პრინციპებზე და ამავე დროს მემარჯვენე სოციალისტს, პოლიციელ ბეილოს ბრძანებას აძლევს პარიზის მხატვართა გამოფენაზე აიკრძალოს საფრანგეთის პროგრესული მხატვრების ნაწარმოებთა ჩვენება. „სოციალისტ“ მოკისა და მისი ხელქვეითების ბრძანებით ტყვიას უშენენ დემონსტრანტებს — უდანაშაულო მუშებსა და მოსწავლეებს, მოხუცებსა და ბავშვებს, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობას, სიცოცხლეს, პურს... ინგლისში სდევნიან მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლ მონიკა ფელტონს, რადგან მან სიმართლე უამბო თავის თანამემამულეებს იმ საშინელი სიმხეცის შესახებ, რასაც ამერიკელი და ინგლისელი ინტერვენტები სჩადიან კორეაში. ამერიკაში აპატიმრებენ და ასამართლებენ კომუნისტებს, ათასგვარ პროვოკაციულ პროცესებს აწყობენ მათ წინააღმდეგ. ეს არის პროცესი აზრისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. ამერიკელი რასისტები უმოწყალოდ ანადგურებენ ზანგებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შავკანიანები არიან...

ასეთია „ატლანტიკის დემოკრატია“, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები უხვად ნერგავენ ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში. ასეთია სინამდვილე ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში შემავალი ქვეყნების ფაშიზაციისა, რომელიც ამ ბლოკის „სამშვიდობო პრინციპების“ შესაბამისად მიმდინარეობს.

სინამდვილის წინააღმდეგ ამხედრებულ აჩესონს ძალა ჰყოფნის უსირცხვილოდ განაცხადოს: „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი ისტორიაში შავა, როგორც ერთი-ერთი ყველაზე მშვენიერი და დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელიც კი შექმნილა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე“. აჩესონს სურს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. იგი მხოლოდ თავს იტყუებს.

გ. მელაძე

პროგესგები ამერიკელი აგრესორების საზარელი დანაშაულის წინააღმდეგ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 21 მარტი. (საკდესი). პეკინის ჟურნალი „სინგუანჩა“ მოწონავე სტატიაში სათაურით „აღვაგმოთ ამერიკელი ინტერვენტები, რომელებმაც ბაქტერიოლოგიური ომი გაიხადეს ჩინელი და კორეელი ხალხების წინააღმდეგ“, წერს: ამერიკელმა აგრესორებმა უამრავი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ. მათ მოკლეს მილიონობით კორეელი ბავშვი, ქალი და მოხუცი, მრავალი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე, დაანგრიეს კორეის ქალაქები და სოფლები, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, სკოლები, საავადმყოფოები და ტაძრები, ახდენენ ბაქტერიოლოგიური იარაღის საზიზღარ ცდებს ტყვე ჩინელ მოხალისეებზე. მაგრამ ისინი ყოველივე ამას არ დასჯერდნენ. მათ გადაწყვიტეს ფართო მასშტაბით გამოიყენონ კიდევ უფრო სასტიკი საშუალებანი—ბაქტერიოლოგიური იარაღი.

დასასრულ ჟურნალი წერს, რომ ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულმა გამოიწვია კორეელი და ჩინელი ხალხების გულისწყრომა და სიძულვილი, მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანთა მრისხანე აღშფოთება და ამერიკელი აგრესორების კიდევ უფრო მეტი იზოლაცია მსოფლიო პოლტიკაში.

გაზეთი „გუნენენიბაო“ იუწყება, რომ გირინში გაიმართა 60-ათასიანი საპროტესტო მიტინგი ამერიკელების მიერ გაჩაღებული ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დამნაშავეთა მკაცრად დასჯას. მიტინგის შემდეგ ქალაქში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია.

მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები ამერიკელი აგრესორების დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ გაიმართა ქალაქებში ძაბეესსა და ანშანში.

რუმინეთი

გუქარესტი, 21 მარტი. (საკდესი). რუმინეთის მშრომელნი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად აღშფოთებას გამოთქვამენ ამერიკელი აგრესორების დანაშაულის გამო, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ იარაღს იყენებენ.

მასობრივი საპროტესტო მიტინგი გაიმართა ქალაქ სტალინში. მიტინგის მონაწილე სტახანოველებმა, წარმოების მოწინავეებმა, მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რელიგიური კულტების მსახურებმა ერთსულოვანი აღშფოთება და პროტესტი გამოთქვეს ამერიკელი აგრესორების მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვეს დაუყოვნებლივ აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება და მკაცრად დაისაჯონ ამერიკელი სამხედრო დამნაშავენი.

პოლანდია

ჰაგა, 21 მარტი. (საკდესი). პოლანდიის ქალაქებში იმართება ხალხმრავალი კრებები, რომელთა მონაწილენი პროტესტს აცხადებენ ამერიკელი აგრესორების მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ.

გუშინ გაიმართა ქალთა კრებები უტრეხტში, ეინდჰოვენსა და სხვა ქალაქებში. კრებებზე მიღებული რეზოლუციებით პოლანდიელი ქალები გმობენ ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულს და მოითხოვენ სასტიკ პასუხისგებაში მიცემულ იქნან დამნაშავეები, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ ომს ეწევიან.

ავსტრია

ვენა, 21 მარტი. (საკდესი). მთელ ავსტრიაში იმართება მასობრივი საპროტესტო მიტინგები და კრებები ამერიკელი აგრესორების დანაშაულობათა წინააღმდეგ. თავიანთ სიტყვებსა და რეზოლუციებში მშრომელნი მტკიცე პროტესტს აცხადებენ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ და ძმურ სოლიდარობას უცხადებენ კორეისა და ჩინეთის ხალხებს.

ავსტრიის მოსახლეობა მიესალმება იმას, რომ ამერიკელთა ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად კორეაში გაემგზავრა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისია გრაციის უნივერსიტეტის პროფესორის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის ბრანდვაინერის მეთაურობით.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 21 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამშემედგომით ყველა ფრონტზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდან.

დღეს სახალხო ჯარების საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა მტრის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენებით დაჯილდოება

ფხენიანი, 21 მარტი. (საკდესი). კორეის გაზეთები აქვეყნებენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებებს ომის შესახებ, რომ პირველი ხარისხის სახელმწიფო ორდენის ორდენით დაჯილდოებული არიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილეები ხე გაი და ხონ მენ ხი, რომლებსაც სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ, სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კორეელი ხალხის სამამული განმათავისუფლებელი ომის პერიოდში ფრონტისა და ზურგის განმტკიცების საქმეში. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის პირველი ხარისხის სახელმწიფო ორდენის ორდენთა და შრომის ორდენით დაჯილდოებული არიან აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ტენ დიუნ ტხიაკი, ფინანსთა მინისტრი ცოი ჩან იკი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ამერიკის საზოგადოებრიობა გმობს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციას იაპონიის მიმართ

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ამერიკის ზოგიერთი გაზეთი აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციას იაპონიის მიმართ, რომელიც უხეშად ეწინააღმდეგება შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. ბოსტონის ისეთი კონსერვატიული გაზეთიც კი, როგორიც არის „გლობი“, 15 მარტის ნომერში წერდა, რომ ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატები აზორკიულებენ იაპონიაში მილიტარიზმის აღორძინების წახალისების პოლიტიკას“. ომისშემდგომ იაპონიაში ძველი წესების აღდგენა, — წერს გაზეთი, — ხდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ბეერს წარმოუდგენია დასავლეთში.

გაზეთი იძულებულია აღიაროს ამერიკელთა ოკუპაციის უფლქმეებმ მყოფი იაპონელი ხალხის მძიმე მდგომარეობა, იაპონელ გლეხთა ნახევარზე მეტი, აღნიშნავს გაზეთი, ვალებშია ჩაფლული. ძლიერ იგრძნობა ინფლაცია. კვლავ შემოდის ბავშვების გაყიდვა მორბად. იაპონის მთავრობის ცნობებით, უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში გაიყიდა სულ ცოტა 7.500 ქალაშვილი. იაპონელი ხალხი სულ უფრო დიდ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდის.

ჟურნალი „კოსმოპოლიტენ სენსორი“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში მკაცრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებულ „ადმინისტრაციულ შეთანხმებას“ იაპონიასთან, აღნიშნავს რა, რომ იგი „ადადგენს ექსტერიტორიალობის პრინციპს“. „ეს შეთანხმება, — წერს ჟურნალი, — მოწმობს, რომ ამერიკის ჯარების მიერ იაპონიის ოკუპაცია მხოლოდ ქაღალდზე შეწყდა“. აღნიშნავს რა, რომ „ადმინისტრაციული შეთანხმება“ შეერთებულ შტატებს აძლევს ბაზებს იაპონიაში, რომ იგი არ ზღუდავს ამერიკის შეიარაღებული ძალების ოდენობას და „უფლებას აძლევს მათ შეინარჩუნონ იაპონიის ბევრი ქონება, ჟურნალი წერს: „არა გვგონია საჭირო იყოს იმის აღნიშვნა, რომ ასეთ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების ყოფნა იაპონიაში ყოველთვის გამოწვევს იაპონელთა უკმაყოფილებას“.

საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის

ბაგდა, 20 მარტი, (საკდესი). გაზეთი „ალ ვაარბეიდი“ იუწყება, რომ ინდონეზიის დელეგაცია 17 კაცის შემადგენლობით ამ დღეებში მიეშგზავრება საბჭოთა კავშირში მოსკოვის მოგავალ საერთაშორისო თათბირზე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლები და ეკონომისტები. დელეგაციას მეთაურობს ინდონეზიის სავაჭრო პალატის მდივანი ტეგუსსუკამანა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). 20 მარტს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომაზე გამოვიდნენ საბერძნეთის, თურქეთის, ჰოლანდიის დელეგატები და გომინდანელი. ყოველსაბოლოდ ცდილობდნენ რა არ შეხებოდნენ საბჭოთა წინადადებებისა და მუშაობის გეგმის იმ პროექტის დედაარსს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა და რომლის მიზანია შეიარაღების ნამდვილი შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა, ისინი თავიანთ გამოსვლებში ლაპარაკობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ჰანგზე. ეს დელეგატები აშკარად ცდილობდნენ, რომ კომისიის არ განეხილა მთავარი საკითხები — მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვა; დარღვევისა და დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის საკითხი. მათ მბარი დაუჭირეს კომისიაში ამერიკულ „მუშაობის გეგმას“.

ზოგიერთი მათგანი, და პირველ რიგში გოჰინდანელი, იცავდა რა ამერიკის შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივ მოქმედებას, რომლებიც კორეასა და ჩინეთში იყენებენ ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს, ამტკიცებდა, რომ შავი ჭირის, ტიფისა და სხვა სნეულებათა ეპიდემიები თითქოს „თავისთავად ჩნდება“.

როგორც ცნობილია, პასუხი გასცა რა 14 მარტის სხდომაზე საბჭოთა წარმომადგენლის კითხვებს, ამერიკის წარმომადგენელი დათანხმდა, რომ კომისიაა უფლებამოსილია განიხილოს საკითხი ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა შესახებ.

ჰოლანდიის, საბერძნეთისა და თურქეთის დელეგატებმა, რომლებიც აშკარად ცდილობდნენ ძნელი მდგომარეობიდან გამოეყვანთ ამერიკის დელეგაცია, მოითხოვეს შეწყდეს განხილვა საბჭოთა დელეგაციის მიერ დასმული საკითხისა ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების ორდაშვებისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ისინი აცხადებდნენ, რომ, თუმცა კომისია უფლებამოსილია განიხილოს ეს საკითხი „პრინციპულად“, მაგრამ თითქოს არ არის უფლებამოსილი განიხილოს ამ პრობლემის „კერძო“ ასპექტი, სახელდობრ: ხმარობენ თუ არა ამერიკის ჯარები კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიურ იარაღს.

ჰოლანდიისა და საბერძნეთის დელეგატებმა სცადეს დაემაჩინჯებინათ სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლა, განაცხადეს რა, რომ თითქოს მან არ უპასუხა ამერიკის დელეგატის კითხვაზე, თანახმაა თუ არა საბჭოთა კავშირი მოეწყოს კორეასა და ჩინეთში გამოძიება იქ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხზე.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა.

გასაკვირველი არ არის, თქვა მალიკმა, რომ იმ ქვეყნების წარმომადგენლნი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აგრესიაში კორეელ ხალხის წინააღმდეგ, ასე აქტიურად იცავენ ამერიკის ჯარებს, რომლებიც ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს იყენებენ კორეასა და ჩინეთში. მაგრამ მათი ლიტონი უარყოფა ისევე არადამაჯერებელია, როგორც აჩესონის განცხადება ამ საკითხზე.

ჰოლანდიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა, აღნიშნა მალიკმა, განაცხადეს, რომ საბჭოთა დელეგაციას არ გუცია პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ წითელ ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოახდინოს გამოძიება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. საბჭოთა დელეგაციამ ამას პასუხი გასცა იმით, რომ წამოაყენა თავისი კონკრეტული წინადადება — შეტანილ იქნას კომისიის მუშაობის გეგმაში საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: „განხილულ საკითხისა ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების არდაშვებისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ“.

შემდეგ საბჭოთა კავშირის ელჩმა ბენეგალელი, იცავდა რა ამერიკის შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივ მოქმედებას, რომლებიც კორეასა და ჩინეთში ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს, ამტკიცებდა, რომ შავი ჭირის, ტიფისა და სხვა სნეულებათა ეპიდემიები თითქოს „თავისთავად ჩნდება“.

როგორც ცნობილია, პასუხი გასცა რა 14 მარტის სხდომაზე საბჭოთა წარმომადგენლის კითხვებს, ამერიკის წარმომადგენელი დათანხმდა, რომ კომისიაა უფლებამოსილია განიხილოს საკითხი ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა შესახებ.

ჰოლანდიის, საბერძნეთისა და თურქეთის დელეგატებმა, რომლებიც აშკარად ცდილობენ ძნელი მდგომარეობიდან გამოეყვანთ ამერიკის დელეგაცია, მოითხოვეს შეწყდეს განხილვა საბჭოთა დელეგაციის მიერ დასმული საკითხისა ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების ორდაშვებისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ, თუმცა კომისია უფლებამოსილია განიხილოს ეს საკითხი „პრინციპულად“, მაგრამ თითქოს არ არის უფლებამოსილი განიხილოს ამ პრობლემის „კერძო“ ასპექტი, სახელდობრ: ხმარობენ თუ არა ამერიკის ჯარები კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიურ იარაღს.

ჰოლანდიისა და საბერძნეთის დელეგატებმა სცადეს დაემაჩინჯებინათ სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლა, განაცხადეს რა, რომ თითქოს მან არ უპასუხა ამერიკის დელეგატის კითხვაზე, თანახმაა თუ არა საბჭოთა კავშირი მოეწყოს კორეასა და ჩინეთში გამოძიება იქ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხზე.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა.

გასაკვირველი არ არის, თქვა მალიკმა, რომ იმ ქვეყნების წარმომადგენლნი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აგრესიაში კორეელ ხალხის წინააღმდეგ, ასე აქტიურად იცავენ ამერიკის ჯარებს, რომლებიც ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს იყენებენ კორეასა და ჩინეთში. მაგრამ მათი ლიტონი უარყოფა ისევე არადამაჯერებელია, როგორც აჩესონის განცხადება ამ საკითხზე.

ჰოლანდიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა, აღნიშნა მალიკმა, განაცხადეს, რომ საბჭოთა დელეგაციას არ გუცია პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოახდინოს გამოძიება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. საბჭოთა დელეგაციამ ამას პასუხი გასცა იმით, რომ წამოაყენა თავისი კონკრეტული წინადადება — შეტანილ იქნას კომისიის მუშაობის გეგმაში საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: „განხილულ საკითხისა ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების არდაშვებისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ“.

შემდეგ საბჭოთა კავშირის ელჩმა ბენეგალელმა, ინდოელ ელჩ ბენეგალელ-ბანერჯეა, ინდოეთის